საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბრძოლის გაცვლა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 9 იანვარი. 2020 წ. №2 (8928) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

შეურაცხყოფილი მწუხარება... ③

---

⑤ კოკაბიტაციის პირობები ნაცმოძრაობამ დაარღვია

გიორგი გახარია ელიზაბეთ რუდს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელ ელიზაბეთ რუდს შეხვდა. მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა ისაუბრეს გასული წლის განმავლობაში აშშ-საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე.

საუბარი ასევე შეეხო ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებს და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებს. შეხვედრას დაესწრნენ აშშ-ის საელჩოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განყოფილების უფროსი ლიზ ზენტოსი და საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ირაკლი ჩიქოვანი.



მუქარის იმედად დარჩენილი აღმოსავლეთი ⑧

⑨

სოლეიმანის მკვლელობა მრავალთა სიცოცხლეს დაემუქრა!..

თეირანში ბოინგის ავიაკატასტროფას 180 ადამიანი შეეწირა ②

დაბომბავს თუ არა თეირანი პაიფასა და დუბაის? ⑧

ირანი კიდევ 100 ამერიკულ ობიექტზე თავდასხმით დაიმუქრა ⑧

ესტონეთის პრეზიდენტმა რუსეთის საელჩოს ნაჩუქარი ყირიმული შამპანური უკან დაუბრუნა

ესტონეთის პრეზიდენტმა კერსტი კალიულაიდმა რუსეთის საელჩოს უკან დაუბრუნა ნაჩუქარი ყირიმული შამპანური, რომელიც მას 50 წლის დაბადების დღის აღსანიშნავად გადასცეს. კერსტი კალიულაიდმა 50 წლის იუბილე 2019 წლის 30 დეკემბერს აღნიშნა.

გამოცემის თანახმად, რუსეთის საელჩომ პრეზიდენტს ყვავილები, შოკოლადი და ყირიმული შამპანური გაუგზავნა. კალიულაიდმა მიიღო შოკოლადი და ყვავილები, მაგრამ ყირიმის შამპანური პრეზიდენტის ოფისიდან რუსეთის საელჩოში დაბრუნდა . ესტონეთი გმობს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას.

გაზსადენი „თურქეთის ნაკადი“ გაიხსნა

რუსეთის, თურქეთის, სერბეთის პრეზიდენტებმა და ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა გაზსადენი „თურქული ნაკადი“ გახსნეს. გახსნის ცერემონია სტამბოლში გაიმართა. 4 ქვეყნის წარმომადგენლებმა სიმბოლური ვენტილი დაატრიალეს.

1 იანვრიდან „თურქული ნაკადით“ გაზი რუსეთიდან თურქეთს, საბერძნეთს და ჩრდილოეთ მაკედონიას მიეწოდება. მანამდე ეს სახელმწიფოები ბუნებრივ აირს უკრაინის, მოლდავეთის და რუმინეთის გავლით იღებდნენ.

გაზსადენი ორი მილსადენისგან შედგება, თითოეულის სიმძლავრე 15,75 მილიარდი კუბური მეტრია. პირველი მილსადენით მოხდება გაზის მიწოდება თურქეთისთვის, ხოლო მეორე სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას მოამარაგებს. **2019 წლის დეკემბერში აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ქვეყნის თავდაცვით ბიუჯეტს მოაწერა ხელი, რომელშიც „თურქული ნაკადის“ და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ სანქციებია გათვალისწინებული. კერძოდ, აშშ კომპანიებს ამ პროექტების განხორციელებაში მონაწილეობას უკრძალავს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მათ ამერიკულ აქტივებს დაბლოკავს.**

ᲑᲝᲘᲜᲒᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐᲡ 180 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲔᲬᲘᲠᲐ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ საგარეო საქმეთა მინისტრი ვადიმ პრისტაიკოვი ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ თეირანში უკრაინული თვითმფრინავის „ბოინგ 737“-ის ავიაკატასტროფის შედეგად 82 ირანის მოქალაქე დაიღუპა.

„ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თვითმფრინავში იმყოფებოდა ირანის — 82, კანადის — 63, უკრაინის — 2 (9 ეკიპაჟის წევრი), შვეიცის — 10, ავღანეთის — 4, გერმანიის — 3, ბრიტანეთის — 3 მოქალაქე“ — წერს პრისტაიკოვი „ტვიტერზე“.

„გამოვთქვამთ თანაგრძნობას. უკრაინის ხელისუფლება აგრძელებს გამოძიებას“, — დასძინა თავდაცვის მინისტრმა.

ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, თვითმფრინავი „ბოინგ 737“, რომელსაც რეისი თეირანი-კიევის მიმართულებით უნდა შეესრულებინა, გუშინ იმამ აიათოლა ჰომეინის სახელობის აეროპორტიდან აფრენისას, თეირანის დროით, დილის 6:00 საათზე აფეთქდა.

ᲘᲠᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲛᲐᲨᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲕᲘᲐᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲨᲐᲕᲘ ᲧᲣᲗᲔᲑᲘ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ

ᲘᲠᲐᲜᲔᲚᲛᲐ **მაშველებმა იმ ადგილზე, სადაც უკრაინულმა თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა, შავი ყუთები იპოვეს. ირანის პროკურატურაში აცხადებენ, რომ ნაპოვნია ორივე შავი ყუთი.**

ასევე, უკრაინული მედიის ცნობით, წინასწარი ინფორმაციით, გამოირიცხა ტერაქტის ვერსია და გამოძიება ტექნიკური გაუმართაობის მიმართულებით მუშაობს.

ᲡᲐᲛᲫᲘᲛᲐᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი უკრაინული თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს თანაგრძნობას უცხადებს. ამის შესახებ სალომე ზურაბიშვილი „ტვიტერში“ წერს.

„სიტყვები ვერ გადმოსცემს უკრაინის ავიახაზების ავიაკატასტროფას, წარმოუდგენელი კატასტროფაა. ჩემი ღრმა მწუხარება დაღუპულთა ოჯახის წევრებს და მეგობრებს“, — წერს სალომე ზურაბიშვილი.

* * *

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია თეირანთან „უკრაინის ავიახაზების“ თვითმფრინავის კატასტროფით გამოწვეული ტრაგედიის გამო მწუხარებას გამოთქვამს. ამის შესახებ ის Ეცშეუკ-ის ოფიციალურ გვერდზე წერს.

„გულწრფელად ვუსამძიმრებ თეირანთან უკრაინული თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად ტრაგიკულად დაღუპულთა ოჯახებს“, — წერს გიორგი გახარია.

ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲑᲝᲠᲢᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ

ᲘᲠᲐᲜᲨᲘ, **თეირანის აეროპორტთან ჩამოვარდნილი უკრაინული თვითმფრინავის ბორტზე საქართველოს მოქალაქეები არ იმყოფებოდნენ. ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ.**

„უკრაინის ავიახაზების“ კუთვნილი ავიალაინერი თეირანის აეროპორტის სიახლოვეს, აფრენიდან ორ წუთში ჩამოვარდა. ამ ეტაპზე გავრცელებული ინფორმაციით, დაღუპულია ბორტზე მყოფი 170 ადამიანი. ავიაკატასტროფის მიზეზის წინასწარ ვერსიად თვითმფრინავის ტექნიკური გაუმართაობა სახელდება.

ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲘᲜ ᲨᲔᲘᲬᲧᲐᲚᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ?!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პრეზიდენტის მიერ შეწყალებული ხუთი მსჯავრდებულიდან ორი ქალია. ამის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, შეწყალებული მსჯავრდებულებიდან სამი, მათ შორის ერთი ქალი, სასჯელს იხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო ორ მსჯავრდებულს პირობითი სასჯელი აქვს.

სალომე ზურაბიშვილის მიერ შეწყალებული მსჯავრდებულები, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდიან სასჯელს, ციხე გუშინ დატოვეს. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არ აკონკრეტებენ, რა სახის დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები შეიწყალა სალომე ზურაბიშვილმა.

ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, რომ გასული წლის მარიამობის დღესასწაულზე შეწყალებულ პატიმართა შორის იყვნენ პოლიციელის მკვლელობისთვის მსჯავრდებული, ნარკორეალიზატორი და ძებნილი პირები. ფაქტზე პროკურატურაში გამოძიება დაიწყო, თუმცა შედეგები ამ დროისთვის უცნობია.

ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲪᲐᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

ᲛᲘᲓᲘᲡ **შეტევა პატრიარქზე, სირცხვილია, რისი მოწმეც ვართ,** — ამის შესახებ გოგა ხაინდრავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „რესპუბლიკელი“ დავით ბერძენიშვილის კომენტარის შეფასებისას განაცხადა. დავით ბერძენიშვილმა დეკანოზ გიორგი მამალაძის შეწყალების საკითხზე კომენტარისას სოციალურ ქსელში „თვითმფრინავის საქმე“ გაიხსენა და აღნიშნა, რომ ილია მეორე როგორი „დაუნდობელიც“ იყო ახალგაზრდობაში, ისე არის 87 წლის ასაკშიც. ამ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალისტების კითხვაზე პასუხისას რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ „რესპუბლიკელ“ დავით ბერძენიშვილს „ნაძირალა“ და „უღმერთო კაცი“ უწოდა.

„იმათ გამონათქვამებზე არ ვაპირებ კომენტარებს, რადგან ესენი არიან ბნელი ძალები, ანტიქრისტე ძალები, რაც ძალიან კარგად არის ჩვენთვის ცნობილი. ეკლესიის წინააღმდეგ მიდის ბრძოლა ბერძენიშვილების ხელით, პეტრე ცაავების და კიდევ დანარჩენების ხელით. მათ ჰგონიათ, რომ არ ვიცით, ისინი ვის ემსახურებიან, რა ძალებს და საიდან მოდის ეს შეკვეთა ქართული ეკლესიის დისკრედიტაციაზე, ყველაზე გამორჩეულად, პატრიარქის დისკრედიტაციაზე.

პირველ რიგში, ეს რუსეთს აწყობს და მათ ემსახურება, რადგან ძალიან კარგად იციან, რომ ქართული სახელმწიფოს და ქართველი ერის ფუძე, საფუძველი და ფესვი არის მართლმადიდებელი რწმენა და ეკლესია, რომელზეც ყოველთვის იდგა საქართველო, რომელმაც გადაარჩინა და მოიყვანა ეს ქვეყანა დღემდე. ამიტომ, პირდაპირ იქ ურტყამენ და იქ მიდის შეტევა. ეს ე.წ. „რესპუბლიკელებისგან“ ახალი არ არის, ესენი, ყველანი მონაწილეობენ და დიდი ხანია, მონაწილეობდნენ ამაში და დღეს უბრალოდ, გაცხადდა, რაც მათ ბნელ სულებში იყო“, — განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

მან მიმართა ჟურნალისტებს, პატრიარქის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებების ტირაჟირება შეწყვიტონ.

„მე თქვენ მოგმართავთ პირველ რიგში, რადგან თქვენზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული — შეწყვიტეთ პატრიარქის ლანძღვა-გინების ტირაჟირება, ძალიან ცუდად მოგიბრუნდებათ ყველას, ეს არ არის მარტო ინფორმაციის გავრცელება, ეს არის ცილისწამების გავრცელება. ალბათ, ყველაზე ღირსეული ადამიანის წინააღმდეგ, ვინც დღეს საქართველოში ცხოვრობს, ვიმეორებ — მსგავსი ღვაწლის და ისტორიის პატრიარქი დღეს მსოფლიოში არ არსებობს და მსოფლიო ისტორიაში ძალიან ცოტა მოინახება. იმიტომ არის ასეთი გაშმაგებული ბრძოლა მის წინააღმდეგ, როგორც ეკლესიის შიგნით, ისე ეკლესიის გარეთ და ერი და ბერი ერთი და იგივეა. ნუ გიკვირთ, რომ ეკლესიაში ბუდობენ ეს ძალები, რადგან ყოველთვის იყვნენ. საქართველოს ეკლესია არის ერთ-ერთი ეკლესია, რომელშიც არასოდეს ყოფილა განხეთქილება. საქართველოს ეკლესია, როგორც მუხა, ისე დგას მართლმადიდებლობის სადარაჯოზე. მიდის შეტევა პატრიარქზე — სირცხვილია, ქართველებო, რისი მოწმეც ვართ“, — განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲔᲜ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ?!

***ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ** წინ, 2016 წელს წინასაპარლამენტო არჩევნების დროს, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ მოსახლეობას სოციალურ კეთილდღეობას და სწრაფ განვითარებას დაჰპირდა. თუმცა, მმართველობიდან სამი წლის შემდეგ მოსახლეობა შიმშილობის ზღვარზეა, საქართველოში ფასების საერთო დონე რეკორდულად იზრდება, ბოლო ერთ წელში სურსათი 13.4 პროცენტით გაძვირდა. მოსახლეობის 69 % სიღარიბეში ცხოვრობს. „ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘ“ დაინტერესდა, 2019 წელს რა გააკეთეს მმართველი პარტიის დეპუტატებმა მთავარი დანაპირების — „კეთილდღეობის და სწრაფი განვითარების“ შესასრულებლად, რის გამოც სამი წლის წინ ამომრჩევლებს ხმას სთხოვდნენ. როგორ აფასებენ საკუთარ სიტყვას და საქმეს დეპუტატები და რას ეუბნებიან ამომრჩევლებს, რომელთაც სიღარიბის დონე სწორედ „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში გაეზარდათ.*

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲝᲜᲦᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

— 2019 წელს მიღებული რომელი საკანონმდებლო პაკეტი გახსენდებათ, რომელმაც საქართველოს მოსახლეობას სწრაფი კეთილდღეობა მოუტანა და მათ ცხოვრებაზე დადებითად აისახა?

— ყველა კანონი მოსახლეობის საკეთილდღეოდ არის მიღებული, თუმცა, კანონმდებლობა ასე პირდაპირ არ აისახება. მგონია, რომ კითხვის ფორმულირება არასწორი, უფრო კარგი იქნება ამ საკითხზე კომენტარი აღმასრულებელ ხელისფულებას გააკეთებინოთ.

— წინასაარჩევნოდ როდესაც მოსახლეობას ხვდებოდით, თქვენ მათ სოციალურ კეთილდღეობას და სწრაფ განვითარებას ჰპირდებოდით.

— მე როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, ბევრ რამეს მოგიყვებით, გურჯაანში რა გავაკეთე. რამდენიმე პროექტი ხორციელდება, რომელიც გრძელვადიან პერიოდში მოსახლეობას და მუნიციპალიტეტს კარგ შედეგს მისცემს.

პირველი პროექტი, რომელზეც მინდა ვისაუბრო ტექნოპარკის მშენებლობაა, რომელიც ახალგაზრდებისთვის და საგანმანათლებლო მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია. მიმდინარეობს პარკის რეაბილიტაცია, რაც როგორც ადგილობრივებისთვის,ასევე ტურისტებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. ინფრასტრუქტურული მიმართულებით თითქმის ყველა სოფელში ბევრი პროექტი განხორციელდა, დაიგო გზები და შევიყვანეთ წყალი. გასულ წლებში გურჯაანისთვის გამოყოფილი თუ იყო 3-4 მლნ. ლარი, ახლა ეს რიცხვი 12 მლნ-მდე გაიზარდა.

ᲘᲮ. 4 ᲒᲒ.

ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐ...

ᲙᲘᲓᲔᲕ ერთი ძველი წელიწადი წაბრძანდა, ახალი მობრძანდა და გვამცნო, რომ დრო, რაგინდ ერთიან ზეიმ-დღესასწაულებითაც იყოს ნაქსოვი, გამუდმებით მდინარებს. ისიც გვამცნო: დრო, ასევე აუცილებლად მდინარებს, სულ წივილ-კივილებით, ერთმანეთზე მიხდომებითა და დედის გინებითაც რომ იყოს აკინძული. ვფიქრობ, მკითხველი ხვდება, რომ აქ „დროის მდინარება“ მხოლოდ ასტრონომიული თვალსაზრისით არ იგულისხმება.

ერთი სიტყვით, დრო გადის, „დრო ყველას გაგვატიალებს...“ გადის და ცუდიც (და ბევრი კარგიც) თან მიაქვს. ალბათ, უპრიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ იმ ძველი წლის ბოლო პერიოდი 15 წლის მოსწავლის ლუკა სირაძის თვითმკვლელობით იყო გაჯერებული (მთავარია, არ დაგვებედოს საახალწლოდ!)

არა, უდავოდ გულით განიცადა ხალხმა პატარა ლუკას ასე უღვთო სიკვდილი – მეცხრე სართულიდან გადმოფრენა. უდავოდ, მაგრამ, როცა ამ გულწრფელ განცდას არაგულწრფელ პოლიტიკოსთა უწმინდური ხელი შეეხო, სახალხო მწუხარება უმალ უნიჭოდ დადგმულ სპექტაკლს დაემსგავსა, მთავარი სისხლძარღვი გამოეცალა და ფარსად იქცა.

ეს იმავე დღეებში აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოში გამორჩეულად მშვენიერი მოსწავლე გოგონას თვითმკვლელობითაც გახდა საჩინო. ამ ამბავმა თითქმის უჩუმრად ჩაიარა, თუმცა, ტელევიზიამ ეს ინფორმაცია უმალ მთელ ქვეყანას ამცნო. რატომ არ მოჰყვა აბაშის ტრაგედიას ისეთივე საყოველთაო ცრემლიანი გამოხმაურება (დაღუპული ქალიშვილის სახელიც კი არ გახმაურებულა), როგორც ლუკა სირაძის თვითმკვლელობას? რა, ნაკლები დანაკარგია ქვეყნისთვის?

აქ საქმე ასეა: **ლუკას თვითმკვლელობა ზოგიერთთა პოლიტიკურ მიზნებს „მოერგო“, დასჭირდა და ოპოზიციამ თავის ხელში აიღო „მოვლენათა მართვა“, ანუ გამოიყენა ხელისუფლებისთვის კიდევ ერთი დარტყმის მისაყენებლად. ოღონდ ეს მაინცდამაინც არ გამოუვიდა იმიტომ, რომ მან ვერ დაასაბუთა, რატომ, როგორ იყო ხელისუფლება დამნაშავე მოსწავლის თვითმკვლელობაში, რისი გულისთვის უნდა გაეწირა ბავშვი. ოპოზიციამ ბევრი ითავცემა, ააქოთა ქვეყანა, ჰოდა, ძალა აღარ ეყო ახალი „მხილებისა“ და „საყოველთაო“, თანაგრძნობის აქციის ასაგორებლად,** რაც გინდა, ასე თქვი, გინდა – ისე, აშკარად ჰგავდა სატელევიზიო გადაცემებით თვითმკვლელობის წახალისებას. მოჰყვა კიდეც ამას აბაშის ტრაგედია.

ამას წინათ ცნობილმა ვეტერანმა რადიოჟურნალისტმა ილო კევლიშვილმა ფსიქოლოგ ნანა ჩაჩუას სიტყვები დადო ფეისბუქზე ლუკა სირაძის თვითმკვლელობის გამოხმაურებებთან დაკავშირებით – **„შეურაცხყოფილი მწუხარებაო“.**

მორგებულად დაუხასიათებია ის მოვლენა ქალბატონ ნანას – „შეურაცხყოფილი მწუხარება“...

არადა, რამდენი მწუხარება შეურაცხვყავით ურცხვი ღრიანცელებით, სხვათა ჭრილობებში თითის ტაკებით, ყველა წვრილმანის გამოწვლილვით წარმოჩენით, რაც ახალახალ ტკივილს აყენებს ისედაც დასეტყვილ ჭირისუფალს, სხვისი მწუხარების უფლების ურცხვად მითვისებით, რათა მერე ისე იღლაბუცო, როგორც მოგეპრიანება...

უდავოა, თვითმკვლელობა ფსიქოლოგიური განწყობის მიხედვით მიბაძვითი ხასიათისაა და ტელეგადაცემებში თვითმკვლელობის შემთხვევების ფართოდ და გამოწვლილვით გაშუქება ერთგვარად ხელს უწყობს მის გავრცელებას.

პროფესორი ნუგზარ ალექსიძე გვაწვდის ცნობას, რომ აშშ-ში სი-ენ-ენ-ის სატელევიზიო გადაცემებში კატეგორიულად აიკრძალა სისხლის, სისხლიანი დანების და გარდაცვლილების ჩვენება. როგორც ჩანს, სოციალურად აგრესიულ გარემოში, ფსიქოემოციურ განწყობაში, ძლიერდება მიბაძვის ფენომენი, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს და ზრდის თვითმკვლელობის შემთხვევებს. რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი ტელეარხების ხელმძღვანელებს ყურად ეღოთ ეს გარემოება და საინფორმაციო გადაცემებში აეკრძალათ მსგავსი შემთხვევების წვრილად ჩვენება. გავიმეოროთ: **ვინაიდან ასეთი გადაცემები ანგრევს ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ფსიქიკას.**

ამ ვაიუბედურებაში, როგორც ვთქვით, ძველი წელი წაბრძანდა (ამ „მიდი-მოვდივარს“ თუ წაბრძანება ჰქვია) და ახალი მობრძანდა (ამ 2020-ის არჩევნებში საყოველთაოდ ყელის გამოჭრის მუქარასაც თუ მობრძანება ჰქვია).

ოღონდ ისიც სათქმელია, რომ „ყელის გამოჭრის“, ანუ საყოველთაოდ დამარცხების წინასწარმეტყველება ისეა მოძველებული, იმდენჯერ არის გაცხადებული, არიქა, ოპოზიცია ამჯერად მაინც უთუოდ იმარჯვებსო, რომ იმ ოპოზიციაშიც კი ჩაუქი ბაჩუკი ქარდავას მეტს, კაციშვილს არ სჯერა.

არადა, არ არის საქმე ასე „ჰა და ჰა გამარჯვებაზე“ მიმდგარი. ეს კარგად წარმოაჩინა არა მხოლოდ 2019 წელმა, არამედ მთელმა განვლილმა 8 წელმა. საქმეს არ შველის „უმიწაწყალო“ პრეზიდენტის მიშა საკაშვილის მარადი რევოლუციური ვაინაჩრობა, ბავშვობაში ჩარჩენილი გიგი უგულავას ხაფი ხმით ღრიალი, გიგა ბოკერიას თვალების მაღვალაკური მიმოვლება და თვითდაჯერებული (ოღონდ სხვისა არადამაჯერებელი),ძალადღიმილიანი არგუმენტების ჩამონათვალები, სელაპა გრიგოლ ვაშაძის სულ უფრო და უფრო თავხედური, ასაკისთვის შეუფერებელი ხულიგნური ქცევები (თუნდაც პოლიციელისთვის თავში ჩარტყმა გაიხსენეთ იმ დღეს აქციაზე), სალომე სამადაშვილის ზიზღიანი ცხვირაბზუება, ელენე ხოშტარიას უაზრო ფშტვენები ან პარლამენტიდან დაქნეული ნიკანდროს მოლაპლაპე თავის ობოლი ნათება... ამეების მიუხედავად, კიდევ „გავრილოვის ღამის“ „პირველაღმომჩენების“ მიერ საგანგებოდ მოწყობილი სკანდალის, პარლამენტის შენობის კინაღამ აღების, ანუ ქაჯეთის ციხესთან მიმდგარი ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონის (ნიკანორ მელიას-ირაკლი ოქრუაშვილის-გიგი უგულავას) მონდომების მიუხედავად, ვერც მაშინ, ივნისში ვერაფერი გააწყვეს და ვერც ნოემბერში, როცა მთელმა ოპოზიციამ, მას თაკო ჩარკვიანიც რომ ედგა მხარში და ენას არ აჩერებდა, ვერ ჩამოუნგრია თაღები პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებით ქვეყნის მომტყუებელ „საქართველოს ოცნებას“, თუმცა, რაც მართალია, მართალია, ის თაღები გვარიანად შეარყია.

ჰოდა, შევაჯამოთ განვლილი, ოცნებური წელი (წლები):

მართლა ჯარს ემსგავსება ჩვენი ჯარი;

რეალურად შეეჭრა ფესვები კორუფციას (ვინმეს სიამოვნებს თუ არა ამის აღიარება);

გულის წასვლამდე დავუმეგობრდით აშშ-ს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ჩვენი მოღვაწე ძალიან ცდილობს, რამენაირად წაახდინოს ეს ურთიერთობა და ჩუმად შხამსა და სამსალას ურევს სამეგობრო აზარფეშაში;

მოწესრიგდა და მოასფალტდა გზები;

ოღონდ, იმავდროულად: არჩევნებში არაერთგზის პატიოსნად დამარცხებული ნაციონალური მოძრაობა ცოფიანივით გაავდა, საბოლოოდ და უკან მოუხედავად განდგა და ყბადაღებული კოჰაბიტაციის შეუსაბამოდ განუზომლად დაგვშორდა, იმდენად, რომ ამ სიშორიდან ვერც გაარჩევ, ნაცმოძრაობაა თუ ევრონაცები, „ლელოა“ თუ რესპუბლიკური პარტია;

შეღებილ-შელამაზებული ფასადების მიღმა ხშირად სიმახინჯე და სიღატაკე იფარება;

ფასების შეუჩერებელი, უსინდისო მატება აუფასურებს დროულად მიცემულ ხელფასსა და პენსიას;

მდიდრებმა განუზომლად მეტი იშოვეს, ღარიბები კი სულ წავიდნენ ხელიდან;

ბოლომდე ჩავსვარეთ ურთიერთობა რუსეთთან, რაც აღრენილ-აღერღილ მეზობელთან ფაქტობრივ პირისპირ დგომას ნიშნავს. და დიდი ჭკუა, მოთმინება და ენაზე კბილის დაჭერა გვმართებს, თავი რომ მხრებზე შევინარჩუნოთ.

ასეთია საახალწლო ვითარება და თუ კარგად (სწორად) შევხედავთ, ეს ვითარება არც თუ გამოუვალი და განწირულია.

ბოლოს და ბოლოს, უარესიც გვინახავს, ხოლო თუ სათანადოდ გავირჯებით, 2020 წელი შეიძლება, უკეთესობისკენ შემობრუნების წლადაც კი იქცეს.

ოღონდ: „ოცნებამ“ შუბლზე უნდა დაიწეროს, რომ არჩევნებში გამარჯვებისთვის მას ოფსილა ისედაც უთუოდ ეყოფა, ჩამომცრობილი რეიტინგის და ავტორიტეტის მიუხედავად, აი, თვალსაჩინო უპირატესობით გამარჯვებისთვის კი კბილები და ბრჭყალები უნდა გამოაჩინოს, მოწინააღმდეგეს, რომელსაც მისი შეჭმა აქვს განზრახული და ამას არც მალავს, ათას ოხრობას უწყობს და გამუდმებით კვანტს უდებს, „ჩემო ფისუნიას“ ძახილი და ყურის ძირში ფხანა არ უნდა, როცა საჭიროა იმ ყურის ძირში ისეთი მუშტი უნდა ხეთქოს, უკრაინაში მიშა ლოგინიდან გადმოვარდეს.

ერთი სიტყვით, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული, არჩევნებში გამარჯვებაც კი.

ᲮᲐᲚᲮᲝ, ᲐᲛᲝᲘᲒᲓᲔ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ 2019 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲧᲝᲚᲘᲚᲘ ᲕᲘᲦᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲜᲒᲐᲭᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲡ ᲣᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ „ᲐᲛ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲪ“ ᲓᲐ ᲔᲪᲐᲓᲔᲗ, ᲔᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲮᲐᲓᲝᲗ.

ჰოდა, ამ ცხოვრებას გაუმარჯოს, ქართველებო, იხარეთ და იბედნიერეთ!

ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲛᲐᲩᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲙᲐᲠᲐᲕᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲓᲒᲐᲛᲡ

ᲞᲐᲜᲙᲘᲡᲨᲘ სპეცოპერაციის დროს დაჭრილი და შემდეგ საავადმყოფოში გარდაცვლილი თემირლან მაჩალიკაშვილის მამა, მალხაზ მაჩალიკაშვილი პარლამენტის წინ კარავს აღარ დადგამს.

„იძულებული გავხდი, პირველად ამ 700 დღე-ღამის განმავლობაში ცოტათი დავისვენო და ძალა მოვიკრიბო. ბანერი პარლამენტში დროებითი კომისიის შექმნის მოთხოვნით, პარლამენტის წინ დაიდგმება. ეს ცხადია, ვინაიდან შესაფერისი ადგილი იქ არის. რაც შეხება კარავს, ვფიქრობ, ადგილმდებარეობა შევუცვალო. კარავთან დაკავშირებით უფრო ფართო გეგმა მაქვს“, – წერს მაჩალიკაშვილი.

კინგსის „ოლიმპიელი“ ქართველი ახალგაზრდები

ყველა მოწინავე ქვეყანაში დიდი, ძლიერი კომპანიები — რომელ სფეროშიც გნებავთ, მოღვაწეობდნენ — მოგების გარკვეულ ნაწილს სახელმწიფოს მომავალში აბანდებენ, რასაც, სხვანაირად რომ ვთქვათ, ახალგაზრდობის მხარდამჭერი პროექტების დაფინანსება ეწოდება. ამ მხრივ, ჩვენში ერთ-ერთი გამორჩეული, საკომუნიკაციო სფეროს უპირობო ლიდერი მაგთიკომია, რომელიც წლების მანძილზე სხვადასხვა თემატიკისა და მიმართულებით ჩვენი ახალგაზრდების მომავლისთვის მეტად საგულისხმო პროექტებს ახორციელებს. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ უკვე ტრადიციულად ქცეული პროექტების პარალელურად, თანდათანობით ახალი საგანმანათლებლო ნოვაციებიც ჩნდება.

კერძოდ, 2019 წელს მაგთიკომი კინგსის ოლიმპიადის პარტნიორიც გახდა, რომელიც II-XII კლასამდე მოსწავლეებისთვის საგნობრივ ოლიმპიადებს ატარებს მათემატიკაში, ქართულსა და ინგლისურ ენებში. კინგსის ოლიმპიადებში 100 ათასზე მეტი ბავშვია ჩართული და მსურველთა რაოდენობა ყოველ წელს მატულობს.

2019 წელს მაგთიკომი კინგსის ოლიმპიადის გაზაფხულისა და შემოდგომის სეზონების მხარდამჭერი გახდა და 70 მოსწავლე დაჯიდლოვა: გამარჯვებულმა ბავშვებმა მაგთიკომისგან ერთწლიანი სტიპენდია მიიღეს, ასევე ერთწლიანი მომსახურების სერვისი, მათ შორის სრული საკომუნიკაციო მომსახურების პაკეტებიც.

მაგთიკომმა სხვა „კინგსელებიც“ წაახალისა: ტესტებში ჩაიდო მაგთის ბონუს-კითხვა, რომელზეც სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში მოსწავლეებს „მაგთის აკადემიურ კლუბში“ გაწევრების საშუალება მიეცათ, რაც კომპანიისგან მობილური სერვისის ბონუსების მიღებას გულისხმობს.

— დღეს, როდესაც ახალ გამოწვევებს დროული და ინოვაციური გადაწყვეტები სჭირდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომავალი თაობის განათლებაში მონაწილეობა, ახალგაზრდების ხელშეწყობა და წახალისება. განათლებული მომავალი თაობა ჩვენი საზოგადოების და ქვეყნის სწრაფი განვითარების საწინდარია. ამიტომ, მაგთიკომი მუდამ ცდილობს, ხელი შეუწყოს მათი ცოდნის გაღრმავებას და განვითარებას, — აცხადებენ მაგთიკომში.

კინგსის საგანმანათლებლო სასკოლო ოლიმპიადები მთელი ქვეყნის მასშტაბით 40-მდე ქალაქში იმართება ერთმანეთის პარალელურად და იქმნება ერთი დიდი მოვლენა, სადაც ისინი გარდა სასკოლო საგნობრივი პროგრამებისა, სწავლობენ და ეჩვევიან თავისუფალ აზროვნებას, საგამოცდო სტრუქტურებს, დამოუკიდებელ მუშაობასა და კიდევ უამრავ მათთვის საჭირო უნარს!

ყოველწლიურად ას ათასზე მეტი სკოლის მოსწავლე იღებს მონაწილეობას ჩვენს ოლიმპიადებში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მეოთხე მოსწავლე კინგსელია!

მაგთიკომს ერთ-ერთი დიდი როლი მიუძღვის მოსწავლეების წახალისებაში. ისინი კინგსელებს საუკეთესო პრიზებით ასაჩუქრებენ, განსაკუთრებით მინდა, გამოვყო სტიპენდიები. ამ თანხებს ბავშვები ძალიან სასარგებლოდ იყენებენ, — ამბობს კინგსი- საქართველოს დირექტორი **დავით ყანჩაშვილი**.

წარჩინებულ მოსწავლეთაგან ჩვენ რამდენიმეს გავესაუბრეთ. მათ შორის იყო მათემატიკის ოლიმპიადის გამარჯვებული, მეათეკლასელი **თიკა კვაშილავა**:

— მეათე კლასში მათემატიკის ოლიმპიადაში გავიმარჯვე და მაგთიკომისგან ერთწლიანი სტიპენდია და „მარტივი 25“ მივიღე. სტიპენდიას ანაბარზე ვაგროვებ უნივერსიტეტის სწავლის საფასურის გადასახდელად, ხოლო „მარტივი 25“ კომუნიკაციასა და ჩემი ცოდნის გაღრმავებაში ხელს მიწყობს. მინდა მადლობა გადავუხადო კომპანია მაგთიკომს, რომ აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდების მოტივაციასა და წინსვლაში, რაც ძალიან დასაფასებელია.

მეოთხეკლასელ **რეზიკო დიდიშვილს** კი სხვა გეგმები აქვს:

— ძალიან დიდი მადლობა კინგსსა და კომპანია მაგთიკომს საუკეთესო პროექტის შექმნისთვის. უდიდესი სიხარულის მომტანი იყო სტიპენდიის მიღება და სხვა დანარჩენი პრიზები.

ძალიან მიყვარს მოგზაურობა და ვგეგმავ მაგთიკომის სტიპენდია ამ მიზნით გამოვიყენო. საუკეთესოები ხართ კინგსელებო და მადლობა თქვენ და კომპანია მაგთიკომს.

ვფიქრობთ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ გაიხარეს პატარებმა ამ შესანიშნავი ჯილდოებით, რისთვისაც მაგთიკომს მადლობას ჩვენც ვეუბნებით.

ოთარ ტურაბელიძე

როგორ აფასებენ „ქართული ოცნების“ დეპუტატები თავიანთ საქმიანობას?!

(მეორე გვერდიდან)

თვითონ მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდისთვის მოეწყო ღვინის ფესტივალი და ყველის ფესტივალი, ასევე ბევრი სხვა ღონისძიება. ეს დიდ ინტერესს იწვევს ტურისტებშიც, სწორედ ამიტომ მუნიციპალიტეტს ბევრი სტუმარი ჰყავდა.

ახლა ველისციხის რეაბილიტაციის პროცესი მიდის, გამოცხადდა ტენდერი ცხოველების თავშესაფარზე. წელს პოლონეთთან დავმეგობრდით და გაცვლითი პროგრამით 2 კვირის განმავლობაში 20 ბავშვი იყო წასული პოლონეთში. ძალიან ბევრი პროექტი შემიძლია ჩამოვთვალო, რომელიც გურჯაანში განხორციელდა, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და ხელისფულება ახორციელებდა და რომლშიც აქტიურად ვარ ჩართული.

იანვარში იტალიიდან აგრარული უნივერსიტეტის san miguel university-ს ლექტორი ჩამოდის და საუბარი გვექნება მეღვინეობა-მევენახეობის უნივერსიტეტის გახსნაზე, ეს პროექტები დაძრულია და გვინდა, რომ ბოლომდე განვახორციელოთ.

გოგი მეშველიანი:

— წელს 2020 წლის ბიუჯეტი დავამტკიცეთ, რომელიც ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი სოციალური გარანტიების მატარებელია იმისთვის, რომ ჩვენი მოქალაქეების ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდეს. მომავალი წლის ბიუჯეტით ჩვენი პენსიონერებისთვის გათვალისწინებულია პენსიების ორეტაპიანი ზრდა, გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გარანტიებია სამხედრო და სამხედრო სამსახურთან გათანაბრებული მოსამსახურეებისთვის, ასევე გათვალისწინებულია ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელებიც თავისთავად ძალიან ბევრი ჩვენი მოქალაქის დასაქმებას გამოიწვევს. რაც შეეხება საკანონმდებლო პაკეტებს, 2019 წელს ჩვენ დაახლოებით 700- მდე ინიციატივა მივიღეთ. რომელიც პირდაპირ აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ეს არის კანონპროექტი შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

— თქვენ პირადად რომელ საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობდით?

— გარკვეული ცვლილების ინიცირება მოხდა საგადასახადო კოდექსის მიმართულებით. იცით, რომ წელს სალარო აპარატების შემოღების საკითხი გადავადდა, ასე ვერ გამარტივდება მიწის რეგისტრაციის წესები, რაც საკუთრების აღრიცხვას და დარეგისტრირებას ხელს შეუწყობს. ეს განსაკუთრებით წაადგებათ სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებს იმისათვის, რომ მათ მფლობელობაში არსებული ქონება ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაერთოს.

— ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატი ბრძანდებით, რა საკითხებზე მუშაობდით თქვენს მუნიციპალიტეტში?

— გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად გარემოს დაცვის მიმართულებით, ერთ-ერთ მსხვილ საწარმოსთან ვიმუშავეთ, რომელიც წლების განმავლობაში გარემოს დამაბინძურებელი იყო. საწარმომ აიღო ვალდებულება და ახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა ღირებულებაც 30 მლნ ლარია. შედეგად, ბოლნისში ეკოლოგიური მდგომარეობა გაჯანსაღდება.

— რა პრობლემები აქვს ბოლნისში მოსახლეობას?

— ძირითადი პრობლემა არის დასაქმების საკითხი, სიღარიბე, სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემები. არის ისეთი სოფლები,რომელიც არ არის გაზიფიცირებული და არის სოფლები, სადაც არ არის ასფალტირებული გზა. პერიოდულად თავს იჩენს პრობლემები, რომელიც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს უკავშირდება. ვგულისხმობ, მოსავლის გასაღება-შენახვის საკითხებს, თუმცა, აქტიურად ვმუშაობთ ამ პრობლემების მოგვარებაზე.

— მუნიციპალიტეტში რა გაკეთდა სიღარიბის დასაძლევად?

— გაიხსნა რამდენიმე საწარმო, მაგალითად, ქვის დამამუშავებელი, გვაქვს დიდი კომპლექსი, რომელშიც სხვადასხვა სახის ხორცპროდუქტები იწარმოება. მეღვინეობის განვითარების მიმართულებით ბოლნისს მიკროზონის სტატუსი მიენიჭა, რაც მომავალში მეღვინეობის განვითარებას განაპირობებს. დაახლოებით 20-მდე მცირე მეურნეობა ჩამოყალიბდა. გეტყვით, რომ მარტო წელს 50 ჰექტარზე მეტი ვენახი ჩაიყარა, გაისად ველოდებით 200 ჰექტარის გაშენებას,რაც ეკონომიკისთვის გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ისკო ღასენი:

— 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა რომელი საკანონმდებლო ინიციატივა მიიღეთ, რომელიც საქართველოს მოსახლეობას სწრაფ კეთილდღეობას მოუტანდა?

2019 წლის ყველაზე დიდ მიღწევად ახალი კონსტიტუცია მიმაჩნია, მეცხრე მოწვევის პარლამენტი ამით დაამახსოვრდება საქართველოს მოსახლეობას. რაც შეეხება კანონპროექტებს, მე პირადად მიმაჩნია, რომ დახურული ტიპის შენობებში მოწევის აკრძალვა ყველაზე საუკეთესო კანონი იყო, რომელიც დაეხმარება მოსახლეობას, თავი დაანებოს მავნე ჩვევას და დაიწყოს ჯანსაღი ცხოვრება.

— როდესაც მოსახლეობის უმეტესობა უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, თქვენ თვლით, რომ ყველაზე ეფექტური კანონი, მათ პრობლემების მოსაგვარებლად თამბაქოს მოხმარებაზე შეზღუდვის დაწესებაა?

— ქვეყანაში სამწუხაროდ, გაჭირვება ნამდვილად არის, მე მაინც მაქვს იმედი, რომ 2020 წელს არჩევნებამდე მდგომარეობა შეიცვლება. გუნდი ამ მიმართულებით მუშაობდა პირველივე დღიდან, ეტყობა, ყველაფერი ვერ შევასრულეთ, ალბათ შეცდომებიც იყო, დანარჩენს იტყვის მოსახლეობა 2020 წლის არჩევნებზე.

— რომელი საკანონმდებლო ინიციატივა გახსენდებათ, რომელმაც ბიზნესის საქმიანობას ხელი შეუწყო?

— გუნდი მუშაობდა გადასახადებთან დაკავშირებით და წარმატებული კანონპროექტებია მიღებული. ხალხი არ არის ისეთ მდგომარეობაში, რომ იყოს მაღალი გადასახადები. ისიც შეიძლია გულწრფელად ვთქვა, რომ ბიზნესი დღეს არის თავისუფალი. თუ ადამიანს სურს ბიზნესის დაწყება, ამ მხრივ ხელისშემშლელი ფაქტორი არ არსებობს.

— პირადად თქვენ, რომელ საკანონმდებლო პაკეტებზე მუშაობდით?

— 2019 წელს ვიყავი საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში, დღეს ვარ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში.მაქვს იმედი, რომ შევიტან ჩემს წვლილს ამ მიმართულებით. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში ყოფნის დროს მრავალ საკანონმდებლო ინიციატივაზე ვიმუშავე, არ ვიცი, რომელი ერთი დაგისახელოთ. იქნებ მითხრათ, რომელი იყო მოსახლეობის საწინააღმდეგოდ მიღებული კანონპროექტი? ყველაფერს ვაკეთებდით მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, თუნდაც ის, რომ ბანკებს არაპროფილური საქმიანობა ავუკრძალეთ. მაქვს იმედი, რომ ბიზნესმენები უფრო იმუშავებენ, წინსვლა შესამჩნევი რომ იყოს.

ზაალ ანჯაფარიძე:

კოჰაბიტაციის პირობები ნაცმოძრაობამ დაარღვია

„სწორედ 20 ივნისის მოვლენებმა დაუდეს სათავე იმ პროცესებს, რა პროცესებსაც შეიძლება, დავარქვათ კოჰაბიტაციის დასასრული“, — აცხადებს For.ge-სთან საუბრისას ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე და განმარტავს, კოჰაბიტაციის დასრულების შემდეგ რამდენად ცხელი პოლიტიკური პროცესები გველის 2020 წელს.

— რა შეცდომებით შეხვდა „ქართული ოცნება“ 2020 წელს და წარსულში დაშვებული შეცდომები განაპირობებს თუ არა იმას, რასაც მმართველი გუნდი 2020 წელს მოიმკის?

— ცხადია, შეცდომები იქნა დაშვებული ქვეყნის მართვაში. ეს შეცდომები მოიცავს ყველაფერს, როგორც საკადრო პოლიტიკას, ასევე, პრიორიტეტების დასახვას და შემდეგ მათ შეუსრულებლობას. თავად ყოფილმა პრემიერმა ბახტაძემ საჯაროდ აღიარა, რომ სერიოზული პრობლემები არსებობდა მუნიციპალიტეტებში ადგილებზე მენეჯმენტის თვალსაზრისით. ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი იმ პრობლემების, რაც ქვეყანაში განვითარდა, იყო სწორედ მუნიციპალიტეტებში სუსტი და არაკვალიფიციური მენეჯმენტი. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დაკავშირებული იყო პოლიტიკური ნების დეფიციტთანაც, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ დაპირებები გასცა ხელისუფლებაში მოსვლისას და შემდეგ უკვე 2016 წელს მან ხელახლა ითხოვა მოსახლეობის ნდობის მანდატი და მიიღო კიდეც. მართალია, მაშინ არ ყოფილა ასეთი მკვეთრი ხაზგასმა სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, მაგრამ მოსახლეობას ხომ ახსოვს, ეს დაპირება ხალხის გონების უმეტესობაში ხომ იყო ჩაბეჭდილი. ეს დაპირება ვერ შესრულდა და „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა ისეთი გარემო, რომელშიც ოპოზიცია ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ მან შეძლო ძალების მოკრება და შემდეგ უკვე კონტრშეტევაზე გადასვლა.

ფაქტია, ის შეცდომა, რაც დაშვებული იყო გავრილოვის ინციდენტთან დაკავშირებით, როგორი ახსნაც არ უნდა მოვუძებნოთ ამას, გარდამტეხი აღმოჩნდა. ფაქტობრივად, ამის შემდეგ მოვლენები იმ მიმართულებით წავიდა, რომლითაც „ქართულ ოცნებას“ სერიოზული პოლიტიკური და რეპუტაციული ზიანი მიადგა. ასევე, შეიძლება ითქვას ისიც, რომ, კი ბატონო, შეცდომები იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ ეს პერიოდი მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად გადავატარეთ. თუ 20 ივნისის ამბებს არ ჩავთვლით, ქვეყანაში სერიოზული კატაკლიზმები არ მომხდარა, არც უშუალოდ ქვეყნის შიგნით, არც რუსეთთან დაპირისპირების თვალსაზისით. მეტ-ნაკლები სტაბილურობა შენარჩუნდა და სწორედ 20 ივნისის მოვლენებმა დაუდეს სათავე იმ პროცესებს, რა პროცესებსაც შეიძლება დავარქვათ კოჰაბიტაციის დასასრული. შეიძლება ასე ითქვას, რომ კოჰაბიტაციის პირობა პირველად დაარღვიეს „ნაცმოძრაობამ“ და მისმა განშტოებებმა, ანუ „ოცნება“ არ ყოფილა მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევის ინიციატორი, ინიციატორი იყო „ნაცმოძრაობა“, მათმა მოქმედებებმა დიდწილად დაუდეს სათავე 20 ივნისის მოვლენებს და შემდგომ განვითარებულ პროცესებს. 2019 წელი, შეიძლება ითქვას, იყო ე.წ. კოჰაბიტაციის დასასრულის წელიწადი.

— ამ მოცემულობით მოვედით 2020 წლისთვის, მაგრამ როგორ ფიქრობთ, ხომ არ განვითარდება მოვლენები უფრო უარესად? არჩევნებამდე მივალთ, თუ რევოლუციური სცენარია მოსალოდნელი?

— რევოლუციური სცენარის ალბათობა არის, მაგრამ ჯერჯერობით ეს ალბათობა არ არის მაღალი მოსახლეობაში. არ იგრძნობა მოთხოვნილება

რევოლუციურ სცენარზე, რადგან ყველამ კარგად იცის, ეს სცენარი რასაც ნიშნავს. მეორეც, ჩვენმა საზოგადოებამ უკვე გამოიარა ერთი რევოლუცია და კარგად იცის, ამ რევოლუციებს შემდეგ რა მოსდევს, სიკეთეებთან ერთად მათ უფრო მეტი პრობლემა მოაქვთ მოსახლეობისთვის. რევოლუციური სცენარი იმიტომაცაა ნაკლებად მოსალოდნელი, რომ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც დგანან რევოლუციური სცენარის ავანგარდში, მოსახლეობაში მხარდაჭერითა და პოპულარობით არ სარგებლობენ. ვიცით, ვინც არიან ეს ძალები, ეს არის „ნაცმოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და კიდევ რამდენიმე მომცრო პარტია, რომლის ლიდერიც ყველამ იცის, ვინც არის. შესაბამისად, ეს პოლიტიკური ძალები საზოგადოებაში უფრო ნეგატიურ განწყობას იწვევენ, ვიდრე დადებითს.

— ვერც ახალდაბადებული პოლიტიკური მოძრაობა „ლელო“ გამოდგება რევოლუციის მედროშედ?

— ვერც „ლელო“ ვერ გამოდგება რევოლუციის მედროშედ. რევოლუციური სცენარი შეიძლება, განვითარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებამ დაუშვა ძალიან სერიოზული, ფატალური შეცდომები. ჯერჯერობით არ ჩანს ამის ნიშნები, რომ ხელისუფლებას ასეთი რამ დაემართოს.

— ამ შემთხვევაში, რევოლუცია კლასიკური გაგებით არ უნდა გავიგოთ. ხომ შეიძლება, ხალხის გარეშე მოახდინონ „ნაცებმა“ გადატრიალება და შემდეგ ამას რევოლუცია უწოდონ?

— რევოლუცია იგივე გადატრიალებაა. საინტერესოა, რანაირად უნდა მოახდინონ გადატრიალება ხალხის გარეშე? ეს ნიშნავს, რომ ძალადობრივ მეთოდებს უნდა მიმართონ. ამ შემთხვევაშიც კი, თუ მათ არ ექნათ საზოგადოებრივი, სახალხო მხარდაჭერა, თუნდაც საზოგადოების ნაწილის მხარდაჭერა, ისინი ვერ შეინარჩუნებენ ძალაუფლებას, რადგან ყველა რევოლუციას მთელი საზოგადოების თუ არა, საზოგადოების ერთი ნაწილის ნდობის მანდატი მაინც სჭირდება. ამ შემთხვევაში, მე ვერ ვხედავ ნდობის მანდატს საზოგადოების მხრიდან, რომელიც საკმარისი იქნება არა მარტო რევოლუციისთვის, არამედ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის. არც ძალოვან სტრუქტურებშია დღეს ისეთი განწყობები, როგორიც იყო, დავუშვათ, 2003 წელს.

— „ქართული ოცნების“ პარადოქსზე როცა საუბრობენ, შენიშნავენ, რომ, მართალია, „ნაცები“ დასრულდნენ, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ მთელი ამ 7 წლის განმავლობაში გამუდმებით მაინც პირზე აკერია „ნაცმოძრაობა“. ფიქრობთ, 2020-შიც გაგრძელდება ეს ტენდენცია და კვლავაც ვიხილავთ გადმოპორტირებულ „ნაცებს“, წინა რეჟიმიდან გადმობარებულ მოსამართლეებს? ეს მაშინ, როცა ირაკლი ღარიბაშვილი ამბობდა, კოჰაბიტაცია იყო ჩვენი შეცდომა.

— ასეთ პროცესს არ ველი, თუმცა ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში არაფერია გამორიცხული. ყოველ შემთხვევაში, მწარე გაკვეთილების ფონზე, რაც „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ბოლო თვეების მანძილზე, არ ველოდები, რომ „ოცნება“ კიდევ ერთხელ მოუწყობს საზოგადოებას სიურპრიზებს „ოცნებაში“ პორტირებული „ნაცმოძრაობის“ წევრებით. არა მგონია, „ქართული ოცნება“ ასეთ რისკზე წავიდეს. ახლა არ ჩავუღრმავდები, როგორ შედგა 2016 წლის საპარლამენტო სია, როდესაც „ქართული ოცნების“ რიგებში ბევრი პორტირებული „ნაციონალი“ აღმოჩნდა. „ნაციონალი“ აქ პირობითია, რადგან ის ხალხი, ვინც პორტირებული იყო, ნამდვილად არ წარმოადგენდა იმ დროის მნიშვნელოვან ფიგურებს, უბრალოდ, იყვნენ მესამე თუ მეოთხე ეშელონის წარმომადგენლები, მაგრამ საზოგადოებაში ეს მაინც არ აღიქმებოდა კარგ ნიშნად. არა მგონია, „ქართულ ოცნებას“ იმდენად უჭირდეს პოლიტიკურად, რომ მან კიდევ ერთხელ მისცეს საზოგადოებას იმის თქმის საფუძველი, რომ ისევ პორტირებული „ნაცების“ ხარჯზე სურთ ლელოს გატანა და ასეთი ხალხი გაჰყავთ თავიანთ რიგებში. ჩემი გადმოსახედიდან, ეს არ იქნებოდა „ოცნებისთვის“ კარგი ნაბიჯი.

— ახალი პარტიები იქმნება და ძლიერი ფინანსური საყრდენის გამო პატარ-პატარა პარტიებსაც შთანთქავენ. მესამე ძალის ნიშის დასაკავებლად გარკვეული პროცესები მიმდინარეობს, მაგრამ მესამე ძალა მაინც არ ჩანს. რომელი პარტია დაწინაურდება და გაირღვევა თუ არ ორპოლუსიანი სივრცე?

— გაირღვევა თუ არა ორპოლუსიანი სივრცე, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუნდაც ახლად დაფუძნებული „ლელო“ რამდენად შეძლებს გახდეს ალტერნატიული პოლიტიკური ძალა, ანუ ის ძალა, რომლის გამოჩენასაც საზოგადოება ელოდება. საერთოდ, ექსპერტებიც და პოლიტიკოსებიც თავიანთ შეფასებაში ნაკლებად უწევენ ანგარიშს საზოგადოების მოლოდინებს. არადა, პირიქით უნდა იყოს, საზოგადოების მოლოდინის შესწავლაა საჭირო იმისთვის, რომ რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ შეძლოს წარმატების მიღწევა. „ლელოს“ პირველი ნაბიჯებიდან თუ ვიმსჯელებთ, მე მგონი, „ლელო“ მაინცდამაინც კარგად არ იცნობს ჩვენი საზოგადოების მოლოდინს და დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელიც საზოგადოებრივ მოლოდინსაა აცდენილი. თუნდაც სიის შედგენა, რომლის გაგზავნასაც აპირებენ საზღვარგარეთ, პოლიტიკური პარტია, რომელიც პოლიტიკურ ველზე შემოდის, ამით არ უნდა იწყებდეს, რადგან უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების წყებაა სახელმწიფოში, რომელიც რეალურად აწუხებს ხალხს, ვიდრე სიის შედგენა. ჩვენი პოლიტიკური ძალების ერთ-ერთი სისუსტე სწორედ ისაა, რომ ისინი ვერ გრძნობენ ხალხისა და საზოგადოების მაჯისცემას.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ნიი-ზე მეტი დევნილი სტუდენტი დაფინანსდა

დევნილთა, ეკონომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო სახელმწიფო პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2017-2019 წლებში ჩარიცხულ ყველა დევნილს სწავლის პერიოდში ტრანსპორტირების ხარჯებს დაუფინანსებს.

დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამით სარგებლობის მსურველთა განაცხადების მიღება 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება. პროგრამა 2016 წელს დაიწყო და საქართველოს მასშტაბით უკვე 600-ზე მეტი დევნილი სტუდენტი დაფინანსდა.

განაცხადების შევსება დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში მიმდინარეობს.

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს არჩევა დასრულდა

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს მეხუთე წევრი გია ქარცივაძე გახდა. მას მხარი უმაღლესი საბჭოს 15-მა წევრმა დაუჭირა. გია ქარცივაძე „ნაციონალური მოძრაობის“ კვოტით იყო წარდგენილი. ის წლებია, ტელევიზიაში მუშაობს. ტელევიზიის ბორდი 5 წევრისგან შედგება, აქედან სამი „ქართული ოცნების“ კვოტით არის არჩეული, ერთი — დამოუკიდებელი დეპუტატების, ერთიც — „ნაციონალური მოძრაობის“. ბორდის წევრის უფლებამოსილება 6 წელი გრძელდება.

სიმართლე - ხელისგულზე...

საქართველოდან შეუძლებელია, ადამიანმა მიიღოს სამი მილიარდი დოლარი, რადგან ამაზე მეტი აქვს დახარჯული!

ბიძინა ივანიშვილის ქონება ბოლო 1 წელიწადში იმდენად გაიზარდა და მაშინვე ეჭვები აღძრა. მილიარდერმა მოკლე პერიოდში 570 მილიონი შეიძინა და ამის გამო კომენტარების გაკეთება მისი პარტიის უმაღლეს პირებს მოუწიათ.

„ბლუმბერგის“ მილიარდერთა ინდექსის მიხედვით, 1 წელიწადში ბიძინა ივანიშვილის ქონება მკვეთრად გაიზარდა. შეგახსენებთ, რომ მილიარდერთა რეიტინგში საქართველოდან მხოლოდ ბიძინა ივანიშვილია წარმოდგენილი. კერძოდ, „ბლუმბერგის“ მიხედვით, ივანიშვილის ქონება ერთ წელში 570 მლნ დოლარით გაიზარდა.

რეიტინგში ბიძინა ივანიშვილი 26 დეკემბრის მდგომარეობით 371-ე პოზიციაზე იმყოფება. ინდექსის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილის ქონება 5.52 მლრდ დოლარს შეადგენს მაშინ, როდესაც წინა წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით მისი ქონება 4.95 მლრდ დოლარი იყო.

5.52 მლრდ დოლარად ბიძინა ივანიშვილს შეუძლია შეიძინოს 4.47 მილიონი უნცია ოქრო და 104 მილიონი ბარელი ნავთობი. მისი ქონება უტოლდება შეერთებული შტატების მშპ-ს 0.0307%-ს.

აღსანიშნავია, რომ მილიარდერების ინდექსის თანახმად, ივანიშვილის ქონება ყველაზე მაღალი 2013 წელს იყო, როცა 6.40 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა. გამოცემას ბიზნესმენთან დაკავშირებით მცირე ინფორმაციაც აქვს დატანილი, სადაც ივანიშვილის ბიზნესსაქმიანობის დაწყებისა და პოლიტიკური კარიერის მოკლე ისტორიაა ასახული.

„ბლუმბერგის“ მილიარდერების ინდექსი მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების ყოველდღიური რეიტინგია. მილიარდერთა სიაში სულ 500 უმდიდრესი ადამიანია.

ასეთმა მკვეთრმა ზრდამ მაშინვე გააჩინა ეჭვი, რომ მილიარდელი პოლიტიკოსი საქართველოში ნაშოვნი ქონებით მდიდრდება. შესაბამისად, კომენტარის გაკეთება მოუწია იმ პარტიის უმაღლეს პირებს, რომელსაც თავად ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობს.

„ქართული ოცნების“ ლიდერი, დედაქალაქის მერი **კახა კალაძე** ამბობს, რომ ივანიშვილს საქართველოში ბიზნესი არ გააჩნია...

„რა მანიპულაციებზეა ლაპარაკი? არასამთავრობო სექტორის დამოკიდებულება აბსოლუტურად მიკერძოებულია. ბიძინა ივანიშვილს საქართველოში ბიზნესი არ გააჩნია, საზღვრებს გარეთ თუ აქვს შემოსავალი, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს“, — განაცხადა კალაძემ.

უფრო დეტალურად ისაუბრა პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძემ**. მისი აზრით, შეუძლებელია, ივანიშვილმა მიიღოს სამი მილიარდი დოლარი, რადგან ამაზე მეტი უკვე დახარჯული აქვს ქვეყნის განვითარებაში.

„ამ პერიოდებში, ჩვენ ვნახულობთ განსხვავებულ განცხადებებს, ოპოზიციის ნაწილი ზოგჯერ ამბობს, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს შეუმცირდა ქონება, არის შეფასება, სადაც მას გაეზარდა ქონება. ვიღაცები ამბობენ, რომ ასობით მილიონი მან უკვე დახარჯა, ვიღაცები ამბობენ, რომ ასობით მილიონი მან, როგორც ბიზნესმენმა შეიძინა. ამ ტიპის დისკუსიები არის ხოლმე პოპულიზმი და სპეკულაციები. უნდა ვენდოთ საერთაშორისო რეიტინგებს და შეფასებებს.

ის არის წარმატებული ბიზნესმენი, წლების განმავლობაში ქმნიდა დოვლათს და ასევე წლების განმავლობაში ძალიან დიდ რესურსს ხარჯავდა თავისი ქვეყნის, საქართველოს განვითარებაში. ეს არის სიმართლე, რომელიც არის ხელისგულზე. საქართველოდან შეუძლებელია ადამიანმა მიიღოს სამი მილიარდი დოლარი, რადგან მას სწორედ ამდენი და ამაზე მეტი აქვს დახარჯული საქართველოსთვის“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

დანიელ ბექაური

რა „დაამავა“ პრეზიდენტმა?!

არასდროს ვყოფილვარ საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის, ქ-ნ **სალომე ზურაბიშვილის** აპოლოგეტი, მაგრამ, რასაც ახლა მას საყვედურობენ (არა მარტო საყვედურობენ, არამედ, მის ყველანაირ ღირსებას ეხებიან) მიმაჩნია, რომ არასწორია.

სალომე ზურაბიშვილმა შობის წინა დღეს მიიღო სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება (ხაზს ვუსვამ, პოლიტიკური), რომლითაც მან საქართველოს ეკლესიას და მის სულიერ საჭეთმპყრობელს კიდევ ერთი დარტყმა ააცილა.

„მოიყვან ინანებ, არ მოიყვან, მაინც ინანებ, ბარემ, მოიყვანე და ინანე“. ეს ფრთიანი გამოთქმა ამჯერად შეიძლება პირიქით გავიგოთ, რადგან, დეკანოზ **გიორგი მამალაძის** შეწყალება იქნებოდა ქვეყანაში ახალი დაძაბულობის და ეკლესიაზე მასირებული შეტევის წინაპირობა.

შეწყალება ჰუმანური აქტია და მას ყოველთვის დადებითი ემოციით ვხვდები, ვინც არ უნდა იყოს შეწყალებულთა სიაში, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ბურუსით მოცული „ციანიდის საქმის“ მთავარი გმირის შეწყალება საზოგადოებაში (ყოველ შემთხვევაში, მის გარკვეულ ნაწილში) ეკლესიისადმი გაორებული დამოკიდებულების კიდევ უფრო გამწვავებას გამოიწვევდა.

ჯერ ერთი, შეწყალება ნიშნავს, რომ ადამიანმა აღიარა დანაშაული, გრძნობს პასუხისმგებლობას, ინანიებს საკუთარ დანაშაულს და პირობას დებს, რომ მომავალში საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის საზიანო ქმედებას არ ჩაიდენს.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დეკანოზ მამალაძეს არათუ არ მოუნანიებია დანაშაული (მხოლოდ უფალმა იცის, რასთან გვაქვს საქმე), არამედ, არც აღიარებს მის არსებობას — პირიქით, აქეთ იმუქრება და იწყევლება კიდეც!

თუ ადამიანი არ აღიარებს დანაშაულს და არც ინანიებს მას, რის საფუძველზე უნდა შეიწყალოს პრეზიდენტმა?!

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა შუამდგომლობა აღძრა პრეზიდენტის წინაშე, შეეწყალებინა დეკანოზი მამალაძე, სალომე ზურაბიშვილმა სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო — ის არ აჰყვა პროვოკაციას და დესტრუქციულ ძალებს არ მისცა საშუალება, ეს ჰუმანური აქტი გამოეყენებინა საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაციისთვის და ქვეყანაში რელიგიურ ნიადაგზე მოეხდინა დაძაბულობის ესკალაცია.

საკამათო არ არის, რომ წმინდა სინოდი ასე უნდა მოქცეულიყო, ანუ უნდა დაეყენებინა შუამდგომლობა პრეზიდენტის წინაშე დეკანოზ მამალაძის შეწყალების თაობაზე. თუმცა, არც ის არის საკამათო, რომ პრეზიდენტი ამ შემთხვევაში სწორად მოიქცა და მისი ე.წ. დისკრეციული უფლება სახელმწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ, როგორც არასდროს, პრეზიდენტის გამოსვლა ამჯერად მოზომილი და არგუმენტირებული (რა არგუმენტებსაც სიტუაცია იძლეოდა) იყო. სხვა საკითხია, ვინ როგორ გაიგო, ან ვინ როგორ გამოიყენებს მას!

არ ვიცი, ე.წ. „ციანიდის საქმეში“ რამდენად არის დამნაშავე დეკანოზი მამალაძე და რამდენად სწორია ოფიციალური ვერსია პატრიარქის და მისი ახლო გარემოცვის შესაძლო ლიკვიდაციაზე, მაგრამ, დღესაც მასირებული შეტევა რომ მიმდინარეობს საქართველოს ეკლესიაზე, ეს ფაქტია.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად ობიექტურად შეიწყალა პრეზიდენტმა 5 მსჯავრდებული, პირადად ჩემთვის, ეს ნაკლებად საინტერესოა, რადგან, როგორც ზურაბიშვილმა საკუთარ ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნა, შეწყალება პრეზიდენტის დისკრეციული უფლებაა და იგი ხელმძღვანელობს საკუთარი შეხედულებით.

ზაურ ნაჭყებია

ბაკურიანის პრობლემურ სასტუმროებში წყლის მიწოდება მალე აღდგება

ბაკურიანში რამდენიმე სასტუმროსთვის წყლის მიწოდების პრობლემის აღმოსაფხვრელად სამუშაოები გუშინ მთელი ღამე მიმდინარეობდა.

წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელი ვარაუდობს, რომ ბაკურიანის პრობლემურ სასტუმროებში წყლის მიწოდების აღდგენა მალე მოხერხდება.

„ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ვვარაუდობთ, რომ მალე შევძლებთ რეზერვუარში სრული დატვირთვით წყლის დამატებითი მარაგის მიღებასა და ბაკურიანის პრობლემური ადგილების წყლით უზრუნველყოფას. ამ დროისათვის, წყლის დამატებითი დებიტი მოძიებულია, მიყვანილია რეზერვუარამდე და მიმდინარეობს შესაბამისი ტექნიკური სამუშაოები. თუ მაგისტრალზე რაიმე სახის დაზიანება არ მოხდა, სხვა დამაბრკოლებელი გარემოება არ გვაქვს“, — აცხადებს წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელი.

გრიგოლ მანდარიას განცხადებით, ბაკურიანის 85 პროცენტს წყალი სტაბილურად მიეწოდება, პრობლემა აქვს სამ მსხვილ ობიექტს — „მგზავრების“ „პანორამას“, „რუმსს“ და „მგზავრების“ რამდენიმე კორპუსს.

მისივე თქმით, მაქსიმუმი კეთდება, რათა წყალმომარაგება აღნიშნულ სასტუმროებს სრულად აღუდგეს.

რაც შეეხება გუდაურში, „რედკოს დასახლებაში“ წყალმომარაგების კუთხით ამ ეტაპზე არსებულ ვითარებას, კომპანიის დირექტორის თქმით, აქ პრობლემა აღმოფხვრილია და დასახლებას წყალი სტაბილურად მიეწოდება.

დამსვენებლებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი უფასოდ მოემსახურება

ბაკურიანში დამსვენებლებს დიდველისა და კოხტაგორას მიმართულებით საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოემსახურება.

ბრენდირებული ავტობუსები საქართველოს ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, მაია ცქიტიშვილმა და ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მარიამ ქვრივიშვილმა დაათვალიერეს.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი ბაკურიანში წრიულად იმოძრავებს და მგზავრებს დიდველისა და კოხტაგორას მიმართულებით გადაიყვანს.

ტრანსპორტი დამსვენებლებს უფასოდ მოემსახურება.

მინისტრი და ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიდველის ინფრასტრუქტურასაც გაეცნენ.

შავი სიები გაიშიფრა



ბოკერიამ და სააკაშვილმა თავის დროზე შექმნეს სია, რომელშიც საზოგადოების დიდი ნაწილი იყო შესული, — ამის შესახებ რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც გოგა ხაინდრავამ აღნიშნა, გეგმავს სპეციალური პლატფორმის შექმნას, სადაც ბოკერია-სააკაშვილის მიერ შექმნილ სიაში მყოფი მოქალაქეები საკუთარი მონაცემების დაფიქსირებას შეძლებენ.

„ეს სიები სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილის სეიფებში იდო. უფრო ადრე მსგავს სიებს 1920-იან წლებში საქართველოში ადგენდნენ ბოლშევიკები. მათი იდეური წინაპრები, ვინც დღეს ამ სიებს ადგენს და ამ სიების შედეგად ჩვენი წინაპრები — სულიერი, ხორციელი, ბანაკებში და დასახვრეტ ადგილებში მიერეკებოდნენ. შემდეგ ამ სიებს გერმანიაში ნაცისტები ადგენდნენ, შემდეგ — ბოლშევიკები საბჭოთა კავშირში, კომუნისტები, კომკავშირელები და ჩეკისტები, ისევე როგორც დღეს, რადგან დღესაც ამ სიებს ადგენენ ჩეკისტები, კომკავშირელები და ბოლშევიკები. ბოკერია, ვაშაძე, ბურჯანაძე, ძმანი და დანი. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რა ქარია ეს, საით უბერავს და რას უნდა ველოდოთ მათგან. ბუნებრივია, რომ უკურეაქცია ექნება ამას“, — განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

რეჟისორი მიმართავს ქართველ საზოგადოებას, რომ სიაში ვინც შედიოდა, ყველამ აღიდგინოს თავი და შედგეს სია.

„სიაში, რომელიც თავის დროზე იყო შედგენილი, შედის მინიმუმ 330 ათასი პრობაციონერი და ამის გამო მათ ციხეები გაიარეს. ამით დავეხმარებით ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს, ორგანიზაციებს, დიპლომატიურ მისიებს საქართველოში, რათა გაეცნონ, რა მასშტაბის არის ეს სია, რომელიც თავის დროზე ბოკერიამ და სააკაშვილმა — ამ ბოლშევიკებმა შექმნეს. ეს არის სია, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შევა, შედიოდა და შედის. ჩვენ გამოვაცხადებთ მისამართს, სადაც საქართველოს ყველა მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა, გამოაგზავნოს თავისი მონაცემები, გვარი, სახელი, ტელეფონი, რადგან ეს არმია, რომელიც ნაცისტების სიაში შედიოდა, არის ძალიან დიდი. ამავე დროს მინდა, მივმართო პრესას — აუცილებლად გააშუქეთ ეს სია. მინდა, მივმართო „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტაქტივისტებს, რომლებიც კამერებით დაგვდევენ ახლაც, ალბათ, მომავალშიც გააგრძელებენ ჩვენს დევნას, ყურადღებით გაეცნონ ამ სიას, რადგან იქ შეხვდებიან თავიანთ კურსელებს, მასწავლებლებს, მეზობლებს, მეგობრებს და უნდა იცოდნენ, რაში მონაწილეობენ. ეს ყველამ კარგად უნდა გაიაზროს“, — განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

მისივე თქმით, პარალელურად დგება სასულიერო პირების სიები, აქტიურობენ პეტრე ცაავა და ის კომუნისტი თეოლოგები, რომლებიც რწმენას არიან ამოფარებული და სიების შედგენაში აქტიურად არიან ჩართული.

მისივე თქმით, დღეს საქართველოში ყველანაირი შესაძლებლობაა, გააპროტესტონ ყველაფერი ის, რაც არ მოსწონთ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ბნელ ძალასთან გაერთიანებული. გავიდნენ ცალკე და ბევრად მეტი მხარდამჭერი და გულშემატკივარი ეყოლებათ.

„ეს სიები გაცხადებული იყო. ყველამ იცოდა, რას უპირებდნენ ამ სიებში ბინადრებს. ამის შესახებ მათმა იდეოლოგმა გვარამიამ გამოაცხადა, რომ ყველა გაირიყება საზოგადოებიდან. მაგათ შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, სისხლში ჩაგვახშობდნენ“, — განაცხადა ხაინდრავამ.

მისივე თქმით, გამოცხადდება ელექტრონული მისამართი, სადაც სიის წევრები შეძლებენ საკუთარი მონაცემების დაფიქსირებას.

<u>გია ვოლსკი:</u> არ არსებობს პერსპექტივა, რომ ოპოზიციის მიერ შემუშავებულ ე.წ. შავ სიას საერთაშორისო სანქციების ფორმა მიეცეს

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის გია ვოლსკის თქმით, აგრესიული პოზიციის დაკავება სიაზე მომუშავე ოპოზიციის წარმომადგენლების სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

„არ არსებობს პერსპექტივა იმისა, რომ, როგორც თვითონ ამბობენ, ამ სიას საერთაშორისო სანქციების ფორმა დაედოს. უბრალოდ, ლუსტრაცია ხდება იმ ხასიათის, რომელიც ამ დესტრუქციულ ძალას აქვს. ბევრი მიმართულებით გამოავლინეს თავისი თავი და ახლა აგრესიული პოზიციის დაკავება მათი სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

ვოლსკის განმარტებით, ასეთი სიები „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდშიც არსებობდა.

„დარწმუნებული იყავით, რომ ეს სიები არსებობდა მაშინაც, როცა ხელისუფლებაში იყვნენ და ახლაც არსებობს საკმაოდ ვრცელი სია. საკუთარი სურვილების რეალიზაციის შესაძლებლობა როგორც კი მიეცემათ, ნებისმიერ ადამიანს კვლავ დაუბრუნდებიან, კვლავ განათავსებენ საპყრობილეში, შეურაცხყოფენ და წაართმევენ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ იმ ადამიანებზე, რომლებიც შეიძლება, ამ სიაში მოხვდნენ, ეს არის ზოგადად ხასიათი ამ პოლიტიკური ძალის და მასთან გაერთიანებული ძალების“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

<u>იციკ მოშე:</u> აუცილებელია მეტი აქტიურობა, სერიოზული პროექტები და ორივე მთავრობის ჩართულობა

„2020 წელი საქართველოსა და ისრაელში არჩევნების წელია, ამიტომ ბიზნესმა უნდა შეითავსოს წამყვანი როლი ინიციატივებში და მთავრობები მაქსიმალურად უნდა ჩაერთონ“ — „საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის“ ხელმძღვანელი იციკ მოშე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების 2019 წელს მიმოიხილავს და სამომავლო კავშირების გაღრმავებისთვის აუცილებელ ნაბიჯებზე საუბრობს.

მისი თქმით, საქართველომ კარგად უნდა გაიცნოს პარტნიორი ქვეყნები და იცოდეს მათი ინტერესების სფეროები, უნდა ილაპარაკოს მათთვის გასაგებ ენაზე, განსხვავებული მეთოდებით და აქტიური მუშაობით საჭიროა ქვეყნის ინტერესების მკაფიოდ ჩამოყალიბება. სასურველია ბიზნესის მხარდაჭერა, რომ უფრო მეტი წარმატებული მაგალითები შეიქმნას — ესაა ერთადერთი და აუცილებელი პირობა ახალი ინვესტორების მოსაზიდად.

„მსოფლიო კრიზისების მიუხედავად, საქართველოსა და ისრაელს შორის თეორიულად ეკონომიკური კავშირი არ შეწყვეტილა. შესაძლებელია, რომ საქართველოს წარმატებისა და განვითარებისთვის სრულიად საკმარისი იყოს მხოლოდ ისრაელის გამოცდილება და მასთან თანამშრომლობა ყველა ძირითად სფეროში. მხარდაჭერის დოზა მოქმედებს მომავალი ინვესტიციების არსებობაზე, ამიტომ ეს საქართველოს გადასაწყვეტია. პირადი ურთიერთობების დონეზე საკმარისზე მეტი მხარდაჭერა აქვს ორივე ქვეყანას ერთმანეთთან, საჭიროა უფრო მეტი აქტიურობა, წარმატებული პროექტები და მთავრობების ჩართულობა, ბიზნეს ფორუმების ჩატარება ეკონომიკურ ჭრილში ურთიერთობების გამყარებისთვის“, — ამბობს იციკ მოშე.

„საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის“ ხელმძღვანელი საქართველოს ეკონომიკური სფეროს სიძლიერედ ბიზნესის წარმოების სიმარტივეს მიიჩნევს, კონკრეტულად კი ეს ტურიზმის სფეროს ეხება.

„ტურიზმი 30%-ით გაიზარდა, რაც საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პარალელურად, ისრაელის სახლის და ბიზნესპალატის აქტიურ მუშაობას და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მჭიდრო კავშირს უკავშირდება. ზოგადად, საქართველოს ძლიერი მხარე ეკონომიკაში ბიზნესის სიმარტივეა და იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება. კონკრეტულად აღვნიშნავდი ტურიზმს, რაც კარგად გამოჩნდა 2019 წლის განმავლობაში და მიუხედავად რთული მდგომარეობისა, ეს სფერო რჩება საქართველოს ეკონომიკისთვის ერთ-ერთ წარმატებულ და მყარ გარანტიად ქვეყნის წარმატებისა, ვინაიდან საზოგადოებრივი აზრის შემქმნელები ტურისტებში არიან. ისინი პოტენციური ინვესტორებიც გახლავან. ტურიზმი რომ უფრო წარმატებული იყოს, საჭიროა უცხოელ ტურისტებს სწორად შევთავაზოთ კარგი პროდუქტი. მაგალითად, პიცაზე გემრიელი ხაჭაპურია, მაგრამ ის ვერ იყიდება ისე, როგორც პიცა მთელ მსოფლიოში.

2019 წელს აქტიურად იმუშავა ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, რაც ციფრებში კარგად ჩანს. სიხარულით მინდა, აღვნიშნო, რომ 2019 წელს მივაღწიეთ 200 ათასი ტურისტის ნიშნულს, რაც ვივარაუდეთ წინა წლის დეკემბერში — ესაა 200 მილიონი დოლარის კონტრიბუცია საქართველოს ეკონომიკაში“, — ამბობს იციკ მოშე.

ისრაელში არალეგალურად მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, ისრაელის მოსახლეობის, იმიგრაციისა და საზღვრის დაცვის სამსახური, ისრაელში საქართველოს საელჩოსთან ერთად, შესაძლებლობას აძლევს ღირსეულად და ნებაყოფლობით დაბრუნდნენ სამშობლოში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ისრაელის მოსახლეობის, იმიგრაციისა და საზღვრის დაცვის სამსახურმა და ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩომ ერთობლივი განცხადება გაავრცელა. იციკ მოშე „კომერსანტთან“ აღნიშნავს, რომ ორივე მხარემ ამისთვის თანაბარი ინტერესი უნდა გამოიჩინოს და წარსულზე საუბრის ნაცვლად ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება ისწავლოს.

„ამ დღეებში ისრაელის ორივე წამყვან პარტიას შევთავაზეთ რეალური სამუშაო გეგმა, თუ როგორ შეიძლება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ამ საკითხის მოგვარება. ჩვენ ზუსტად ვიცით, რა არის მიღწევადი და თუ რომელიმე ჩვენი იდეა ვერ სრულდება, ჩვენ არა ვართ შეუსრულებელი იდეის ადრესატები. ჩვენ ვერ ვიქნებით იდეის შემმუშავებლები და ასევე ორივე ქვეყნის სახელით შემსრულებლებიც. გამოსავლის გეგმის დასახვა უფრო დიდი თემაა, ვიდრე შესრულება.

ამ საკითხის, როგორც ყველა სხვა საკითხის, მოგვარებისთვის საჭიროა ორივე მხარემ გაიცნოს ერთმანეთი, ილაპარაკონ ერთმანეთისთვის გასაგებ ენაზე და ხვალინდელი ურთიერთობების ტერმინოლოგია იყოს ორივე მხარისთვის ერთი და იგივე და არა წარსულზე საუბარი. ამის შემდეგ მკვეთრად გამოჩნდება პრობლემის კონტურები და მარტივადაც გამოინახება გამოსავალი“, — ამბობს საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის ხელმძღვანელი.

მარიამ მორგოშია

მუქარის იმედად დარჩენილი აღმოსავლეთი

ირანი კიდევ 100 ამერიკულ ობიექტზე თავდასხმით დაიმუქრა

ირანული **სახელმწიფო მედიის ცნობით, ერაყში ამერიკულ სამხედრო ბაზაზე სარაკეტო იერიშის შედეგად არანაკლებ 80 „ამერიკელი ტერორისტი“ დაიღუპა, ხოლო ბაზაზე განთავსებული ვერტმფრენები და სხვა აღჭურვილობა ძალიან დაზიანდა.**

თეირანის მტკიცებით, ირანმა ამერიკული ბაზის მიმართულებით 15 რაკეტა გაუშვა. ამასთან, „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ მაღალჩინოსანი წარმომადგენლის განცხადებით, ირანი მზადაა, იერიში კიდევ 100 ამერიკულ ობიექტზე მიიტანოს, თუ ვაშინგტონი საპასუხო ზომების მიღებას გადაწყვეტს.

თავის მხრივ, პენტაგონი აცხადებს, რომ ამერიკელმა სამხედროებმა სარაკეტო თავდასხმის შესახებ წინასწარ იცოდნენ და ბუნკერებში დამალვის შესაძლებლობა ჰქონდათ. აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო მიყენებულ ზიანს აფასებს, თუმცა მსხვერპლის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებს.

ერაყში ამერიკულ ბაზაზე მიტანილ იერიშს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი Twitter-ით გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ყველაფერი კარგადაა.

ირანმა ერაყში ამერიკულ ბაზაზე სარაკეტო იერიში გუშინ გამთენიისას მიიტანა. სამიზნე ერაყის ჩრდილოეთით, ქალაქ ერბილეს მახლობლად მდებარე ბაზა „აინ ალ-ასადი“ გახდა.

როგორც ირანში განაცხადეს, ეს სარაკეტო დარტყმები აშშ-ის მიერ ირანელი გენერლის ყასემ სოლეიმანის ლიკვიდაციისთვის შურისძიებას წარმოადგენს. ამასთან, „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსმა“ განცხადება გაავრცელა და აშშ-ს მოუწოდა, თავი შეიკავოს საპასუხო ნაბიჯებისგან.

ომი არ გვინდა, მაგრამ თავს ყოველგვარი აგრესიისგან დავიცავთ

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯავად ზარიფის განცხადებით, ირანს არც ესკალაცია და არც ომი სურს, თუმცა ყოველგვარი აგრესიისგან თავს დაიცავს.

„ირანმა მიიღო და დაადგინა პროპორციული ზომები, რაც გათვალისწინებულია გაეროს წესდების 51-ე მუხლით. ჩვენ არ ვცდილობთ ესკალაციას ან ომს, მაგრამ დავიცავთ თავს ყოველგვარი აგრესიისგან“, — წერს ტვიტერზე ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯავად ზარიფი.

ერაყს არ ვტოვებთ

„ჩვენი პოლიტიკა არ შეცვლილა, ამერიკული ჯარები ერაყს არ დატოვებს“, — ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მარკ ესპერმა განაცხადა. ესპერის თქმით, ამერიკული არმია რჩება ერაყში, რათა დაეხმაროს მას.

ისრაელი და ინგლისი ირანს ემუქრებიან

„ამერიკას არ ჰყავს უკეთესი მეგობარი, ვიდრე ისრაელი და ისრაელს არ ჰყავს უფრო კარგი მეგობარი, ვიდრე ამერიკა“, — ამის შესახებ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა.

მისი თქმით, ვინც შეეცდება, თავს დაესხას ისრაელს, უძლიერეს დარტყმას მიიღებს.

„ტრამპის ადმინისტრაციამ აჩვენა, რომ ისინი სამართლიანობისა და სიმართლის მხარეს დგანან. მინდა, მათ მთელი გულით მადლობა გადავუხადო“, — აღნიშნა ნეთანიაჰუმ.

„ბრიტანული ძალები“ მზად არიან, დაეხმარონ ახლო აღმოსავლეთს ირანთან დაძაბულობის გამწვავების შემდეგ“, — განაცხადა ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ბენ უოლესმა. მისი თქმით, სახელმწიფომ,

გენერალ ყასემ სოლეიმანის მკვლელობის შემდეგ, სასწრაფო ზომები მიიღო ბრიტანელი მოსახლეობისა და სპარსეთის ყურის ინტერესების დასაცავად. მან აღნიშნა, რომ აშშ -ს უნდა აეხსნა, იყო თუ არა მათი გადაწყვეტილება „კანონიერი“, მაგრამ იქვე დასძინა, „აშკარაა, რომ არსებობს თავდაცვის საფუძველი“.

უოლესის განცხადებით, რეგიონში ბრიტანული ძალები, მათ შორის ვერტმფრენები და გემები, საჭიროების შემთხვევაში, კრიზისის განსამუხტად მზად იყვნენ. ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი ბენ უოლესი აცხადებს, რომ ბრიტანეთის სამეფო ფლოტი ირანის საზღვართან ახლოს არის განლაგებული და მზად არის, ისლამურ სახელმწიფოს დაარტყას.

„ბრიტანეთი მზად არის, ირანის მიმართულებით ცეცხლი ნებისმიერ დროს გახსნას“, — აცხადებს ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი.

ბრიტანული გამოცემა „ტელეგრაფი“ იუწყება, რომ ინგლისის სამხედრო პერსონალის რაღაც ნაწილი ბაღდადიდან ტაჯის სამხედრო ბაზაზე გადაიყვანეს. ტაჯის ბაზა ერაყის დედაქალაქიდან ჩრდილოეთით, 17 მილის დაშორებით მდებარეობს. ამ დროისთვის ბაზაზე 400 გვარდიელი იმყოფება.

ამ მეტალით აპირებს ნატოსთან ომს პუტინი?

ორი **რუსული სამხედრო გემი სირიასა და თურქეთში ჩასვლამდე გაფუჭდა. პუტინის არმიამ მორიგი ფიასკო განიცადა, წერს რუსული გამოცემა „Пробуждение“. მათი ინფორმაციით, რუსეთის სამხედრო გემი „ორსკი“, რომელსაც სირიაში იარაღი გადაჰქონდა, დაზიანდა და მშობლიურ პორტში „ბუქსირით“ დააბრუნეს.**

მისი დაზიანების შესახებ ცნობილი 4 იანვარს გახდა, როდესაც გემმა სამშობლოსკენ აიღო გეზი და ბოსფორის სრუტე გაიარა.

რუსულმა სამხედრო კრეისერმა „მარშალ უსტინოვმა“ კი, რომელიც 5 იანვარს სტამბოლში ჩავიდა, ცნობილ დოლმაბახჩეს სასახლის მახლობლად ბორცვს შეეჯახა.

კრეისერს სამი თურქული საზღვაო-სამხედრო გემი და თურქეთის საზღვაო პოლიცია მიაცილებდა. რუსულმა გემმა ვერ მიაღწია დოლმაბახჩეს სასახლეს და მარმარილოს ზღვაში გავიდა. ერთ-ერთი ვერსიით, რუსული კრეისერის თურქეთში ჩასვლის მიზეზი პუტინისა და ერდოღანის შეხვედრაა.

„ასეთი მკვლელი ხომალდებით, რომელიც ჩვენს თვალწინ იშლება და სანაპიროებს ეჯახება, აპირებს პუტინი სირიაში ომს? ამ მეტალით აპირებს ნატოსთან ომს?

როდესაც პუტინი მორიგ ჯერზე მოგიყვებათ რუსული არმიის ძლევამოსილებაზე და გირჩევთ, რომ რუსული იარაღი შეიძინოთ, გაიხსენეთ, ეს ორი სამხედრო გემი, რომლებმაც ვერ მოახერხეს დანიშნულების ადგილამდე ჩასვლა“, — წერს რუსული გამომცემა“.

დაბომბავს თუ არა თეირანი ჰაიფასა და დუბაის?

NBC News-ის თეირანის ბიურო ირანულ მედიაზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას, რომ ერაყის თავზე ირანული ავიაგამანადგურებლები დაფრინავენ.

უფრო მეტიც, NBC News-ის თეირანის ბიუროს ხელმძღვანელი ალი აროუზი „ტვიტერზე“ წერს, რომ ირანი აპირებს, დაარტყას ისრაელსა და გაერთიანებულ არაბთა ემირატებს. სარაკეტო დარტყმის სამიზნე ქალაქები ჰაიფა (ისრაელი) და დუბაი (ემირატები) იქნებიან.

ამას ირანი იმ შემთხვევაში გააკეთებს, თუ შეერთებული შტატები ერაყის ბაზების დაბომბვის გამო, ირანის წინაალმდეგ საპასუხო ზომებს მიიღებს. **„ირანმა გაფრთხილება გასცა, რომ, თუ იქნება პასუხი, ისინი დაიწყებენ დარტყმების მესამე ტალღას დუბაისა და ჰაიფაში“,** — წერს აროუზი „ტვიტერში“.

ირანში, ბირთვულ სადგურთან ახლოს მიწისძვრა მოხდა

ირანში, ბირთვულ სადგურთან ახლოს 4,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

მიწისძვრა სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ბორაჯანთან, 17 კილომეტრში მოხდა. მიწისქვეშა ბიძგები 10 კილომეტრის სიღრმეში დაფიქსირდა.

ნავთობის ფასი კიდევ მოიმატებს და რუსეთიც ხელს მოითბობს!

ამერიკის **შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის არსებული დაპირისპირება ნავთობის ფასის კიდევ უფრო გაძვირებას გამოიწვევს,** — ამის შესახებ „2020NEWS“ -თან უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტმა ნიკა ჩიტაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ირანისა და ერაყის ტერიტორიებზე ნავთობის უზარმაზარი მარაგები მდებარეობს, შესაბამისად, ამ ტერიტორიებიდან ნავთობის ექსპორტის შეფერხება ნავთობზე ფასის ზრდას ხელს შეუწყობს.

„უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ერაყისა და ირანის ტერიტორიაზე ნავთობის უზარმაზარი მარაგები მდებარეობს. სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, ირანის ტერიტორიაზე ნავთობის პოტენციური მარაგების მოცულობა შეადგენს, დაახლოებით, 12 მილიარდ ტონას, ერაყის ტერიტორიაზე კი — 15 მილიარდ ტონას.

21-ე საუკუნის პირველი დეკადის მონაცემების მიხედვით, სპარსეთის ყურეში ირანისა და ერაყის ტერიტორიების ჩათვლით, მდებარეობს მსოფლიო ნავთობის მარაგების 66,4%.

აქედან გამომდინარე, ირანიდან და ერაყიდან ნავთობის ექსპორტის შეფერხება საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასის ზრდას გამოიწვევს. ამ სიტუაციით რუსეთი ხელს მოითბობს, რადგან 39% რუსეთის ბიუჯეტი ნავთობის ექსპორტის შედეგად ივსება“, — განაცხადა ნიკა

ჩიტაძემ. ექსპერტის თქმით, გლობალურ ეკონომიკაზე ნავთობის ფასის ზრდა უფრო უარყოფით გავლენას ახდენს, ვიდრე ოქროზე ფასის მომატება.

„ირანი მაინცდამაინც ოქროს საბადოებით მდიდარი ქვეყანა არ არის. დღეს ოქროს ფასი საერთაშორისო ეკონომიკაზე ისე უარყოფითად არ მოქმედებს, როგორც ნავთობის ფასი“, — განაცხადა ნიკა ჩიტაძემ.

შეგახსენებთ, „ბლუმბერგის“ მონაცემების მიხედვით, ირანის მიერ აშშ-ერაყის ბაზებზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ ნავთობის ფასმა 5%-ით მოიმატა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას „ინტერპრესნიუსი“ ავრცელებს.

ირანის მიერ ერაყში აშშ-ერაყის სამხედრო ბაზებზე განხორციელებული თავდასხმების შემდეგ, ერთი უნციას ოქროს ფასმა 1 ათას 600 აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ეკატერინე ზარნაძე

სოლეიმანის მკვლელობა მრავალთა სიცოცხლეს დაემუქრა!..

2020 წელი აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ძვირად ღირებული „საჩუქრით“ დაიწყო, რომელიც მან საკუთარ ხალხს და მსოფლიოს ხალხებს უსახსოვრა. ეს ისეთი „საჩუქარია“ — მიმდინარე და შემდგომ წლებში ფასი რომ გაეზრდება, თანაც კატასტროფულად. იბადება კითხვა — იღებს კი დასაჩუქრებული ესოდენ სახიფათო საჩუქარს, რომლის სიძვირე მას დააწვება?!

აშშ-ის 80 ქალაქის „დასაჩუქრებულმა“ მოსახლეობამ უმალ განაცხადა „ძვირფასი“ საჩუქრის მიღების აბსურდულობა იმ მრავალრიცხოვანი მიტინგებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა და მომავალშიც ექნება.

შთამბეჭდავი იყო მიტინგი, „თეთრ სახლთან“ ცნობილი სახეების მონაწილეობით. გამომსვლელები კატეგორიულად მოუწოდებდნენ პრეზიდენტს და მის ადმინისტრაციას, თავი დაანებონ ისეთი „საჩუქრების“ დარიგებას, მსოფლიო ომს რომ გამოიწვევს; შეწყვიტონ ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ ცხელ-ცხელი სანქციების დაწესება, მოხსნან დაწესებული სანქციები და საკამათო საკითხები გადაწყვიტონ მოლაპარაკების მაგიდასთან.

ამერიკელები, ვინც მიტინგებში იღებდნენ მონაწილეობას, აკრიტიკებდნენ პრეზიდენტ ტამპს ავანტიურისტული ნაბიჯის გადადგმისთვის და აცხადებდნენ, რომ მისი აგრესიული პოლიტიკა არა მარტო აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეების ხოცვას გამოიწვევს, არამედ სამოქალაქო პირების, მათ შორის პოლიტიკოსებისაც.

მკითხველი მიხვდა, რა „საჩუქარზეა“ ლაპარაკი — არაფრით განსხვავებულის ჩვენთვის ცნობილი ტერორიზმისგან, ტერორისტული ორგანიზაციების „ალ-ქაიდას“, „ისლამური სახელმწიფოს“, „ჯებხატ ან-ნუსრას“, სხვა ტერორისტული ორგანიზაციების ხელწერით განხორციელებულის.

აშშ-ის ადმინისტრაციის „გულუხვობამ“ მკაცრი კრიტიკა არა მარტო რიგით ამერიკელებში გამოიწვია, არამედ პოლიტიკოსებში, მაღალი რანგის მოხელეებში, კანონმდებლებში, განსაკუთრებით დემოკრატებში, რომელთათვის რესპუბლიკელი ტრამპი რა ხანია საძულველი სამიზნეა.

კონგრესის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა ნენსი პელოსიმ ტრამპის ბრძანებით განხორციელებულ თავდასხმას მიაყოლა კრიტიკული ცუნამი მტკიცებით, რომ ტრამპი შეუფერებელია აშშ-ის პრეზიდენტის სავარძლისთვის, ვინაიდან ერთპიროვნულად, კონგრესთან შეუთანხმებლად იღებს გადაწყვეტილებებს — ავანტიურისტულს, აგრესიულს, ქვეყნისთვის სახიფათოს, რასაც ამერიკელთა სიცოცხლე შეიძლება შეეწიროს, გააჩაღოს ახლო აღმოსავლეთში კიდევ ერთი ომი.

პელოსის განცხადებას სხვა დემოკრატებმაც შეუერთეს ხმა, თან საზოგადოებას შეახსენეს კონგრესში ტრამპის იმპიჩმენტისთვის მიღებული გადაწყვეტილების მართულობა, მოუწოდეს სენატს (სადაც მალე დაიწყება ანალოგიური პროცესი) ისეთივე დასკვნის გამოტანისკენ, როგორიც წარმომადგენელთა პალატამ გააკეთა, ახალი, 2020 წლის დადგომამდე, რამდენიმე დღით ადრე.

ქვეყნის ყოფილი თუ მოქმედი სახელმწიფო მოხელეები, მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები აცხადებენ, რომ ტრამპის გადაწყვეტილება უდავოდ გამოიწვევს ირანის მხრიდან შურისძიებას და საფრთხის წინაშე დააყენებს ახლო აღმოსავლეთში განლაგებულ აშშ-ის სამხედრო ბაზებს. თვით აშშ გაზრდის ტერორისტული აქტების საფრთხეს, რაც არ იქნება მარტო ირანის დაგეგმილი, არამედ იმ შიიტური ძალების, რომლებიც უხვად არიან, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე სხვაგან, მათ შორის აშშ.

პრეზიდენტი ტრამპი აცხადებს — თუ შურისძიების აქტს ექნება ადგილი, აშშ ყველაფერს იღონებს ირანის სამხედრო და სხვა სახის, მათ შორის კულტურის ობიექტების დასაბომბად. ირანის ხელისუფლებამ კატეგორიული განცხადებით გამოხატა საკუთარი აღშფოთება გენერალ ყასემ სოლეიმანის მკვლელობასთან დაკავშირებით, თან ისიც თქვა, რომ საპასუხო ნაბიჯს აუცილებლად ექნება ისეთი შედეგი, აშშ-ს დიდხანს რომ დაამახსოვრდება.

ირანის ქალაქ ყუმში — რელიგიის ცენტრში არსებული ყველაზე მაღალი შენობის თავზე, წითელი დროშა აღიმართა — ბრძოლის, შურისძიების, პატრიოტული სულისკვეთების სიმბოლო. ირანის სულიერმა ლიდერმა, ქვეყნის მეთაურმა აიათოლა ალი ხამენეიმ დაგმო ტრამპის მოქმედება და ქვეყანაში სამდღიანი გლოვა გამოაცხადა. მან და ირანის პრეზიდენტმა მოკლული გენერლის ოჯახი მოინახულეს და პირადად მიუსამძიმრეს ოჯახის წევრებს, რომლის დროსაც მოკლული გენერლის ქალიშვილმა კატეგორიული ტონით ჰკითხა ალი ხამენეის — „აგებს თუ არა პასუხს ამერიკა მამის მკვლელობაზე“, რაზეც პასუხი იყო მოკლე და კონკრეტული — უეჭველად!

ირანელები სიტყვებს დაუფიქრებლად არ ისვრიან, მით უმეტეს, ირანის სულიერი ლიდერი, ქვეყნის მეთაური. ის ვალდებულია, პასუხი გასცეს არა მარტო ტერორისტული აქტის ჩამდენს, არამედ გლოვის ნიშნად შავებით შემოსილ მილიონობით ირანელს, რომლებმაც ირანის ქალაქების ქუჩები აავსეს, ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ შიიტებს.

ირანის მხრიდან გენერალ ყასემ სოლეიმანის მკვლელობის წაყრუება მსოფლიო შიიტთა შორის ირანის პრესტიჟის უკიდურესი დაცემის ტოლფასი იქნება და არა მარტო შიიტებში, არამედ ახლო აღმოსავლეთისა და მსოფლიო ქვეყნებში. პასუხი კი ნიშნავს ამერიკელთა პასუხს, რაც თავისთავად ომია — არა მარტო რეგიონული, არამედ მსოფლიო, ვინაიდან ირან-ამერიკის სამხედრო „კინკლაობაში“ უდავოდ ჩაერთვებიან ირანის მოწინააღმდეგე ისრაელი, რომლის პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ მტკიცე მხარდაჭერა გამოხატა ტრამპის მიმართ; საუდის არაბეთი — ირანის მტერი — ერთი მხრივ, მეორის კი რუსეთი, ჩინეთი, არაბული სამყაროს ქვეყნები — ლოიალურად განწყობილი ირანის მიმართ, სხვები.

მკითხველს შევახსენებ — ირან-ერაყის ათწლიან ომში, შეგულიანებულში დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის მიერ, ერაყის პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის მხარეზე (მაშინ ის აშშ-ის მოკავშირე იყო) მთელი მსოფლიო თუ არა, ნახევარზე მეტი იღებდა მონაწილეობას. ირანის ახალმა ხელისუფლებამ, აიათოლა ხომეინის მეთაურობით, წარმატებით გაართვა თავი უსერიოზულეს გამოწვევას და გამანადგურებელი ომი ისე დაასრულა, როგორც ამ ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიას შეეფერებოდა.

აი, იმ ომში გამოიწრთო ყასემ სოლეიმანი, რომელმაც თავდადებული, გმირული შრომით, ბრძოლით, გამჭრიახი სტრატეგიული ხედვით მიაღწია გენერლობას. ქვეყნის წინაშე გაწეული სამსახურისთვის ყასემ სოლეიმანი ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა მეთაურად დაინიშნა — სამხედრო ორგანიზაციის, რომელიც სპეცსამსახურის დანიშნულებასაც და იბრძვის ტერორიზმის წინააღმდეგ.

სწორედ აღნიშნული ორგანიზაციის მეომრების და მათი მეთაურის ყასემ სოლეიმანის შეუპოვარი ბრძოლის წყალობით, ერაყსა და სირიაში წერტილი დაესვა ტერორისტული ორგანიზაციის „ისლამური სახელმწიფოს“, „ალ-ქაიდას“ ფილიალის „ჯებხატ ან-ნუსრას“, სხვა ტერორისტების პარპაშს.

ისლამური რევოლუციის გუშაგთა მეომრები, რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ, ტერორისტთა ბუნაგებზე მიტანილი თავდასხმების შემდეგ, სახმელეთო ბრძოლებში ერთვებოდნენ და თავიანთი სისხლის ფასად იცავდნენ რეგიონს ტერორიზმის გავრცელებისგან.

რუსეთთან, თურქეთთან ერთად ირანმა და უპირველეს ყოვლისა, ირანის ისლამური რესპუბლიკის გუშაგებმა გადაარჩინეს სირია განადგურებისგან, მსოფლიო რუკიდან გაქრობისგან, ტერორიზმის, როგორც სახელმწიფო სტრუქტურად ჩამოყალიბებისგან — განა ეს „გენიალური“ აზრი არ იყო ჩადებული ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ დაარსებაში, მისი შემქმნელის აშშ-ის მიერ?

რამდენი ფული, ენერგია, სამხდრო ტექნიკა, წვრთნა დახარჯეს აშშ-ის სპეცსამსახურებმა „ისლამური სახელმწიფოს“ ჩამოსაყალიბებლად? განა, ამის შესახებ არ სდებდა ბრალს პრეზიდენტი ტრამპი წინამორბედ ობამას?!

ახლო აღმოსავლეთი და მსოფლიო დიდი გამოწვევის წინაშე

განა, ტრამპმა არ აღიარა აშშ-ის წვლილი ზემონახსენები ორგანიზაციის შექმნაში? „4 ტრილიონი დოლარი დახარჯეს ჩემმა წინამორბედებმა ახლო აღმოსავლეთის ავანტიურაში“, — იყო ნათქვამი ტრამპისა. მაშ, რამ გამოიწვია მისი ესოდენი გაგულისება ირანის მიმართ და ამით მთელი მსოფლიოს ყოფნა-არყოფნის საკითხის წინ წამოწევა?

პასუხი — ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი არ და ვერ იქნება. თვით ამერიკელ ექსპერტთა მიხედვით, ტრამპის ნაბიჯი აშშ-ის ა.წ. საპრეზიდენტო არჩევნებსაც უკავშირდება; იმპიჩმენტის პროცედურის თავის სასარგებლოდ დასრულებასაც; აშშ-ის მოსახლეობის, საკუთარი პერსონის ირგვლივ შემოკრებასაც; ახლო აღმოსავლეთში დაკარგული პოზიციების დაბრუნებასაც; მოწინააღმდეგე დემოკრატების კრიტიკასთან დაპირისპირებასაც — ისინი ხომ ტრამპს მუდამ აკრიტიკებენ ახლო აღმოსავლეთში უნიათო პოლიტიკის წარმოებაში, რომლის შედეგადაც რუსეთმა მყარად გაიდგა ფესვი რეგიონში, ისე, როგორც ირანმა, შიიტური ირანის ერაყში, სირიაში, იორდანიასა და სხვაგან გავლენის გაფართოებასა და სხვა მრავალს.

ტრამპის სიძე, ივანკას მეუღლე, ორთოდოქსი იუდეველია, ქალიშვილმაც შეიცვალა აღმსარებლობა. ტრამპის, მისი ოჯახის, ისრაელის პრემიერ-მინისტრის ნეთანიაჰუს, აშშ მცხოვრები გავლენიანი ებრაელების პოლიტიკური პლატფორმა ერთ სიბრტყეზე განთავსდა — მას ანტიირანული პლატფორმა ჰქვია. ბოლო სამი წელია, უტევენ ისინი ირანს — უწესებენ ახალ-ახალ სანქციებს, უწოდებენ ტერორისტულ ქვეყანას და სხვა.

მართლაც, დიდი ფარისევლობაა, ტერორიზმის წინააღმდეგ სიტყვით, საქმით მებრძოლ ქვეყანას ტერორიზმი დასწამო და ამ საბაბით საიქიოს გაისტუმრო თანამედროვე მსოფლიოს უსერიოზულესი გამოწვევა — ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ყასემ სოლეიმანი. უფრო მეტიც, საკუთარი ბოსის დასაცავად აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ყველგან ჩამორეკა — მოკავშირეთა დარწმუნების სურვილით, გენერალი სოლეიმანი იმიტომ მოიშორეს თავიდან რომ ტერორისტულ აქტებს გეგმავდა ევროპასა და აშშ-ში; რომ ტრამპმა გადაარჩინა ევროპა სოლეიმანისეული ტერორისტული თავდასხმებიდან.

ცინიზმიც ამას ჰქვია. საჰაერო თავდასხმამ, რომელმაც ყასემ სოლეიმანი შეიწირა, აზრთა მკვეთრი განსხვავება გამოიწვია მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით აშშ-ის ევროპულ მოკავშირეებში. მათ, აშშ-ის მოქმედება ისე არ შეაფასეს, როგორსაც ტრამპი ისურვებდა. უფრო მეტიც, შეშფოთება გამოთქვეს რეგიონსა და მსოფლიოში მშვიდობისათვის ფუნდამენტის შერყევაში. დიალოგი და მხოლოდ დიპლომატიური დიალოგი დაპირისპირებულ მხარეთა შესარიგებლად — ასეთია მათი მოწოდება.

აშშ-ის ადმინისტრაციის დაუფიქრებელმა მოქმედებამ, რომელმაც პრეზიდენტ ტრამპისადმი დამოკიდებულება ნეგატიურობისკენ გადახარა, აიძულა „თეთრი სახლი“, სახელმწიფო დეპარტამენტი, მათთვის ჩვეული ზეწოლით, დიდი თუ მცირე ქვეყნების დაყოლიება ტრამპის ქმედების მხარდასაჭერად. სწორედ მას უნდა მივაწეროთ ზოგიერთთა მხრიდან ირანის „ტერორიზმის“ აღიარება-დაგმობა.

ასეთთა რიცხვში საქართველოც არის. საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ზალკალიანმა გამოხატა ქვეყნის პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით, დაგმო ტერორიზმი (იგულისხმება ირანული), ხაზგასმით აღნიშნა აშშ-ის „სამართლიანი“ ბრძოლის თაობაზე ტერორიზმის საწინააღმდეგოდ. თქვა ისიც, რომ საქართველო, აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორია, რითაც აგრძნობინა ირანს, რომ ის (საქართველო) მუდამ იქნება სტრატეგიული პარტნიორის გვერდით.

სტრატეგიული პარტნიორობა ცალკარში თამაშს არ ნიშნავს, ხანდახან თავის გაწირვასაც მოითხოვს. ამ შემთხვევაში პარტნიორობა თავის გაწირვის ტოლფასია? ჯანდაბას ხელისუფლების თავი, ხალხმა რა დააშავა? რა ხანია ოკეანის გადაღმელ სამხედროთა და პოლიტიკოსთა მხრიდან ვისმენთ საქართველოს სამხრეთში, იქ სადაც საბჭოთა ჯარის ნაწილები იდგა, სირიიდან გამოსული ამერიკელი სამხედროების განთავსების თაობაზე. ისიც გვესმის, თუ რა საჭირო იქნება ვაზიანის აეროდრომი ირანზე საჰაერო იერიშისთვის და ა.შ.

მოყვანილი ამერიკული ვარიანტები, მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ რა იქნება ირანთან ომის შემთხვევაში?

საქართველო-ირანის დღევანდელ ურთიერთობებს საუკეთესოს ვერ ვუწოდებთ. „სტრატეგიულმა“ თანამშრომლობამ შეამცირა საქართველოში ირანული ტურიზმი, სავაჭრო კავშირები. შემცირდა ირანიდან შემოსული ფულიც — შეზღუდული ეკონომიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ისიც ბრძანა, რომ ეკონომიკური ურთიერთობების სამომავლო გაუარესება დიდი დანაკლისი არ იქნება საქართველოს ბიუჯეტისთვის.

როგორც ჩანს პატივცემული პროფესორი ორი ქვეყნის ურთიერთობების გაუარესებას მოელის ამერიკა-ირანის ომის შემთხვევაში. ის მარტო ეკონომიკას შეეხება? საქართველოს ხელისუფლება, ისე, როგორც აშშ-ის ადმინისტრაცია მოჭარბებული ზედაპირულობით ხომ არ აფასებს თანამედროვე ირანის შესაძლებლობებს?

ჩვენი რა გითხრათ, მაგრამ ამერიკის ადმინისტრაციას რომ მსუბუქი წარმოდგენა აქვს 80-მილიონიან ირანზე, ფაქტია. წინააღმდეგ შემთხვევაში ტრამპი სხვაგვარად მოიქცეოდა, დაახლოებით ისე, როგორც მისი წინამორბედი ობამა გააგრძელებდა ამ ქვეყანასთან ურთიერთობებს, აალორძინებდა სავაჭრო კავშირებს, რითაც კარდინალურად შეუცვლიდა სახეს რეგიონში არსებულ ანტიამერიკულ განწყობას.

ამის ნაცვლად მან ძველებურ, უვარგის გზას მიმართა — ირანის ძალისმიერ დაჩოქებას, ირანის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესების, ქვეყნის შიგნით ბუნტის მოწყობის, რევოლუციის გამოწვევის, არსებული ხელისუფლების დამხობის. ვითომ ასე იოლი იქნება 1979 წელს რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლების დამხობა?

ცხადია, სანქციები მოქმედებს ირანელთა ცხოვრებაზე. ირანელები წუწუნებენ საკუთარი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ისინი თვლიან, რომ ვითარება დროებითია და შეიცვლება. ერთი რამ, რაც ადუღაბებს ირანის ხელისუფლებასა და ხალხს — გარე გამოწვევებია. გენერალ ყასემ სოლეიმანის მკვლელობა სწორედ ასეთად შეიძლება ჩაითვალოს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

საფეხბურთო მოზაიკა

საქართველოსა და ბელარუსის ნაკრებთა მატჩი 26 მარტს „დინამო არენაზე“ გაიმართება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფეხბურთის ფედერაციაში ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია.

საქართველოსა და ბელარუსის ნაკრებები ერთმანეთს ერთა ლიგის ნახევარფინალში დაუპირისპირდებიან, ხოლო გამარჯვებული ფინალში კოსოვო-ჩრდილოეთ მაკედონიის წყვილში საუკეთესოს საკუთარ სტადიონზე მიიღებს.

ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლები საშობაო შვებულებაში არიან და ამ ცნობაზე ჯერ ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებენ, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ცნობით კი საქართველო-ბელარუსის შეხვედრის სხვა სტადიონზე გამართვის შესაძლებლობა არც განიხილებოდა.

შეგახსენებთ, რომ არასწორად იყო ინტერპრეტირებული სფფ-ს პრეზიდენტ ლევან კობიაშვილის სიტყვები, თითქოს საქართველო-ბელარუსის ნაკრებთა ეს უმნიშვნელოვანესი მატჩი 26 მარტს არა „დინამო არენაზე“, არამედ ბათუმის მშენებარე სტადიონზე გაიმართებოდა. სტადიონზე საერთაშორისო მატჩების გასამართად საჭიროა ჯერ მისი გახსნა, მერე კი უეფა-ს თანხმობა, რასაც დრო სჭირდება.

* * *

თბილისის „დინამო “ 11-12 იანვარს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში ლეგენდათა ტრადიციულ ტურნირში ითამაშებს.

ხსენებულ შეჯიბრებაში 8 გუნდი მონაწილეობს, რომელთაგანაც შვიდი გერმანულია, ხოლო ერთადერთი არაგერმანული სწორედ თბილისი „დინამო“ იქნება.

იგი ბერლინში შემდეგი შემადგენლობით გამოვა:

გიორგი ლომაია, ნუკრი რევიშვილი, ლაშა სალუქვაძე, კახა კალაძე, ალექსანდრე ამისულაშვილი, ოთარ მარცვალაძე, ლევან ცქიტიშვილი, დავით სირაძე, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, დავით კვირკველია.

„დინამო“ A ჯგუფში მოხვდა, სადაც „შალკესთან“, „ლევერკუზენთან“ და „დორტმუნდთან“ ერთად ითამაშებს.

თბილისელთა მატჩების განრიგი ასეთია:

11 იანვარი, 20:45 საათი: „დინამო“ – „ლევერკუზენი“;
11 იანვარი: 21:42 საათი: „დინამო“ – „დორტმუნდი“;
12 იანვარი, 17:31 საათი: „დინამო“ – „შალკე“.

ნახევარფინალური და ფინალური მატჩებიც 12 იანვარს გაიმართება.

* * *

საქართველოს 2018 წლის ჩემპიონმა თბილისის „საბურთალომ“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე გია ცეცაძის დანიშვნა ოფიციალურად დაადასტურა. მხარეებმა თანამშრომლობის 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

გამოცდილმა სპეციალისტმა გიორგი ჭიაბრიშვილი შეცვალა, რომელმაც გუნდი დაახლოებით ერთი თვის წინათ საკუთარი სურვილით დატოვა.

ცეცაძე ბოლოს საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს წვრთნიდა, ხოლო საკლუბო დონეზე „დილაში“, „ლოკომოტივსა“ და „სამტრედიაში“ უმუშავია. ყველაზე დიდ წარმატებას სწორედ იმერულ გუნდთან ერთად მიაღწია, რომელსაც ისტორიაში პირველად საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა.

რაც შეეხება „საბურთალოს“, გასულ სეზონში „კრისტალ-ბეთ“ ეროვნულ ლიგაში მესამე ადგილი დაიკავა და საქართველოს თასი მოიგო. დამდეგ ზაფხულში კი ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს.

* * *

ლევან შენგელიამ 2020 წლის პირველივე თამაშში გოლი გაიტანა, თუმცა, არა თურქეთის სუპერლიგის ეგიდით, არამედ ამხანაგურ შეხვედრაში.

„ქონიასფორი“ მოსამზადებელ ეტაპს გადის და სპარინგი ქვედალიგელ „ალტინორდუსთან“ გამართა, რომელიც 2:1 დაამარცხა. ლევანმა ანგარიში მე-14 წუთზე გახსნა და მოედანზე შესვენებამდე იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, რომ შენგელიას მიმდინარე სეზონში სუპერლიგაში 9 მატჩი აქვს ჩატარებული, თუმცა, ბურთი არ გაუტანია. ერთხელ ავტოგოლი მიითვალა, ერთხელაც წითელი ბარათი მიიღო, მისი გუნდი კი პირველი წრის შემდეგ გასავარდნი ზონის ზღვარზეა.

* * *

ინგლისური „ლივერპულის“ სენეგალელი თავდამსხმელი სადიო მანე აფრიკის 2019 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. მას აღნიშნული პატივი კარიერაში პირველად ერგო და საწადელს მეოთხე ცდაზე მიაღწია..

სადიომ თანაგუნდელი მოჰამედ სალაჰი და „მანჩესტერ სიტის“ შემტევი რიად მაჰრეზი დაჯაბნა. მანეს შარშანდელი სეზონი მართლაც დიდებული ჰქონდა – 63 მატჩში 35 ბურთი გაიტანა და 11 საგოლე პასი შეასრულა, თანაც სამი ტიტული მოიგო.



აფრიკაში საუკეთესო ფეხბურთელის გარდა, 2019 წლის სიმბოლური ნაკრებიც გამოავლინეს, რომელიც ასეთია:

მეკარე: ანდრე ონანა (კამერუნი);

მცველები: სერჟ ორიე (კოტ დივუარი), ჟოელ მატიპი (კამერუნი), კალიდუ კულიბალი (სენეგალი), აშრაფ ჰაკიმი (მაროკო);

ნახევარმცველები: იდრისა გეიე (სენეგალი), რიად მაჰრეზი (ალჟირი), ჰაკიმ ზიეჩი (მაროკო);

თავდამსხმელები: მოჰამედ სალაჰი (მაროკო), პიერ-ემერიკ ობამეიანგი (გაბონი), სადიო მანე (სენეგალი).

* * *

ლონდონის „ჩელსის“ ანტონიო კონტე და მისი სამწვრთნელო შტაბი საკმაოდ ძვირი დაუჯდა. მიუხედავად იმისა, რომ იტალიელმა „არისტოკრატები“ ჯერ კიდევ 2018 წელს დატოვა, კომპენსაცია ახლახან მიიღო.

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, კონტეს და მის ასისტენტებს პირგასამტეხლოს სახით „ჩელსიმ“ 31.5 მილიონი ევრო გადაუხადა, ხოლო მთლინობაში რომან აბრამოვიჩს აპენინელის ლონდონურ კლუბში მუშაობა 90 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.

შეგახსენებთ, რომ კონტე „სტემფორდ ბრიჯზე“ 2016-2018 წლებში მუშაობდა და გუნდს ჯერ პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული, შემდეგ კი ინგლისის ასოციაციის თასი მოაგებინა.

გიორგი ზოთაძე

◎ წყალბურთი

ზედიზედ მეორედ

უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი 14 იანვრიდან წყალბურთელ ვაჟთა ევროპის 34-ე ჩემპიონატს უმასპინძლებს. პაექრობებში კონტინენტის 16 საუკეთესო გუნდი ჩაებმება. ისინი წილისყრით ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ:

A ჯგუფი: გერმანია, სლოვაკეთი, ხორვატეთი, მონტენეგრო;

B ჯგუფი: რუმინეთი, სერბეთი, ჰოლანდია, რუსეთი;

C ჯგუფი: მალტა, თურქეთი, ესპანეთი, უნგრეთი;

D ჯგუფი: საფრანგეთი, იტალია, საქართველო, საბერძნეთი.

ქართველი წყალბურთელები რევაზ ჩომახიძის ხელმძღვანელობით სასტარტო მატჩში საფრანგეთს დაუპირისპირდებიან. 16 და 18 იანვარს კი, შესაბამისად, საბერძნეთსა და იტალიასთან გაარკვევენ ურთიერთობას.

ნაახალწლევს ჩვენი მოთამაშეები (**ნიკოლოზ შუბლაძე, ბექა ქავთარაძე, ნიკა შუშაიშვილი, დამირ ცრეპულია, რევაზ იმნაიშვილი, ანდრია ბითაძე, მარკო ელაჩა, ხვიჩა ჯახაია, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა (კ), გიორგი მაგრაქველიძე, ფაბიო ბარალდი, ბორის ვაპენსკი, სანდრო ადეიშვილი,** მთავარი მწვრთნელი **რევაზ ჩომახიძე,** მწვრთნელი **გელა ტუკვაძე**) მონტენეგროში გაემგზავრნენ და პოდგორიცის საერთაშორისო ტურნირში მასპინძლებს, გერმანიასა და საფრანგეთს შეხვდნენ. ჩვენებური სტარტზე ფავორიტ მასპინძლებთან დამარცხდნენ – 10:16, მეორე ტურში ფრანგებთან წააგეს – 9:12, ხოლო შეჯიბრების დასკვნით დღეს გერმანელებს მეტოქეობდნენ.

საქართველო – გერმანია 10:7 (3:2, 2:0, 1:3, 4:2)

საქართველო: შუბლაძე, ქავთარაძე, შუშაიშვილი (1), იმნაიშვილი, ბითაძე, ელაჩა, ჯახაია, ბაღათურია (1), რურუა, მაგრაქველიძე (1), ბარალდი (3), ვაპენსკი (4).

გერმანია: შენკელი, რეიბელი, ვან დერ ბოში, რეალი (1), შულცი, იუნგლინგი, ზეჩი, გიელენი (4), სტამი (2), ჩუკი, რესტოვიჩი, ეიდნერი, ტომი.

ამ გუნდების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, რომელიც სამიოდე თვის წინათ თბილისში გაიმართა, ჩვენებმა 9:7 მოიგეს და 2018 წლის კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე მარცხისთვის (10:11) რევანში აიღეს. ზოგიერთებმა ეს მოგება მაშინ შემთხვევითობას მიაწერეს, თუმცა, ქართველმა წყალბურთელებმა ამჯერად ნეიტრალურ სარბიელზე! აჯობეს გერმანელებს და მესამე ადგილი დაიკავეს.

ტურნირის დანარჩენი მატჩების შედეგები: საფრანგეთი – გერმანია 14:11, მონტენეგრო – გერმანია 19:11, მონტენეგრო – საფრანგეთი 17:7.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
მონტენეგრო	3	3	0	0	52:28	9
საფრანგეთი	3	2	0	1	33:37	6
საქართველო	3	1	0	2	29:35	3
გერმანია	3	0	0	3	29:43	0

საქართველოს ნაკრები ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონატზე 11 იანვარს გაემგზავრება.

ლექსო ცინცაძე

◎ ფარიკაობა

კაკაურიძე - მე-13 ადგილზე

29 ქვეყნის 154 წარმომადგენელი შეიკრიბა ბუდაპეშტში ახალგაზრდა მოხმალავეთა მსოფლიოს თასის გათამაშებაში. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში სამი ქართველიც ჩაება. მათგან საუკეთესო იყო გოგა კაკაურიძე, რომელმაც ჯგუფში ზედიზედ დაამარცხა მირკო პეტრუჩი (უნგრეთი, 5:1, სამუელ ბურნე (დიდი ბრიტანეთი, 5:3), ოზქან ილდირიმი (თურქეთი, 5:1) და კოსმინ სტანი (რუმინეთი, 5:1), ხოლო ლუკა ფიორეტოსა (იტალია, 3:5) და ედგარ ალიხანიანთან (რუსეთი, 4:5) წააგო. სამაგიეროდ, პლეი-ოფში დაჯაბნა მატე ფეკეტე-კოვაჩი (უნგრეთი) 15:14, ედგარ ზემიანკევიჩი (რუსეთი) 15:5, დანიელე ფრანჩიოზა (იტალია) 15:7, პიეტრო ტორესთან (იტალია) კი 9:15 დამარცხდა და საბოლოოდ მე-13 ადგილი დაიკავა.

ჯგუფში ოთხ-ოთხ მეტოქეს სძლიეს ნიკოლოზ ჭეიშვილმა (52-ე ადგილი) და ვახტანგ არჩვაძემ (77-ე), მაგრამ პლეი-ოფში ვერაფერს გახდნენ, მედლები კი ასე განაწილდა: 1. პიოტრ შჩეპანიკი, 2. ფრანტიშეკ ნოვაკი (ორივე – პოლონეთი), 3. დმიტრი ნასონოვი და არტიომ ტერეხოვი (ორივე – რუსეთი).

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

პირველ ასეულში 8 ქართველია

დეკემბრის შედეგების გათვალისწინებით ფიდემ მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. ქალთა ასეულს ჩინელი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჰოუ იფანი (2664) მეწინავეობს. მეორე ადგილზეა მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი ცზიუი ვენძიუნი (ჩინეთი, 2584), რომელიც ტიტულის შესანარჩუნებლად 4 იანვრიდან რუს ალექსანდრა გორიაჩკინას ხვდება. მათ შორის უძლიერესს 12-რაუნდიანი მატჩი გამოავლენს. პირველი ექვსი პარტია შანხაიში გაიმართება, მეორე ნახევარს კი ვლადივოსტოკი უმასპინძლებს. უკვე გათამაშდა სამი პარტია და ანგარიშია 1,5:1,5. ჭადრაკის ქართველ ქომაგთათვის ეს პაექრობა იმითაც არის საინტერესო, რომ შეჯიბრების მთავარი მსაჯის (ირანელი შოხრეხ ბაიათი, აზიაში ერთადერთი A კლასის არბიტრი) მოადგილეა ბათუმელი მარიკა ჯაფარიძე.

ქალთა მსოფლიოს რეიტინგში მესამე-მეათე ადგილებს ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2580), ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი, 2578), კატერინა ლაგნო (რუსეთი,2552), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2552), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2539), ვიქტორია ჩმილიტე (ლიეტუვა, 2538), დინარა სადუაკასოვა (ყაზახეთი, 2519) და ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2518) ინაწილებენ.

ქართველ მანდილოსანთა მაჩვენებლები ასეთია: **11. ნანა ძაგნიძე (2515), 24. ლელა ჯავახიშვილი (2463), 27. ნინო ბაციაშვილი (2456), 31. ბელა ხოტენაშვილი (2446), 37. მერი არაბიძე (2428), 97. სალომე მელია (2368), 100. ქეთი წაწალაშვილი (2365).**

ვაჟთა პირველ ასეულში მხოლოდ ერთი წარმომადგენელი გვყავს – ივან ჩეპარინოვი, რომელიც 2686 პუნქტით 45-ე ადგილზეა, პირველ ათეულში კი ასეთი მდგომარეობაა: მსოფლიოს ჩემპიონი **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია, 2872), **ფაბიანო კარუანა** (აშშ, 2822), **დინ ლიჟენი** (ჩინეთი, 2805), **ალექსანდრ გრიშჩუკი** (რუსეთი, 2777), **იან ნეპომნიაშჩი** (რუსეთი, 2774), **ლევონ არონიანი** (სომხეთი, 2773), **მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი** (საფრანგეთი, 2770), **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი, 2770), **ანიშ გირი** (ჰოლანდია, 2768), **ვესლი სო** (აშშ, 2765), **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი, 2765).

გივი გაგუა

ეკატერინე ტიკარაძემ დამწვრობის ცენტრის პაციენტი ბავშვები მოინახულა

ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის დამწვრობის ცენტრში ბავშვები მოინახულა და მათ ჯანმრთელობის მდგომარეობას გაეცნო. ცენტრში ამაჟამად შვიდი მოზარდი მკურნალობს, ყველაზე პატარა პაციენტი კი 11 თვისაა.

ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, ბავშვებისთვის კლინიკამ ახალი სერვისი დანერგა. შესაბამისი მკურნალობის გარდა, არასრულწლოვან პაციენტებს, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისებიც მიეწოდებათ.

მინისტრის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია მსგავს მდგომარეობაში მყოფი ბავშვების ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ბავშვებს აქვთ ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სერვისებზე წვდომის შესაძლებლობა. მსგავსი ტიპის სერვისებს მხარს უჭერენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ჩვენ მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადავდგამთ იმ კუთხით, რომ ყველა ბავშვისთვის გვქონდეს შესაბამისი სერვისის მიწოდების საშუალება. დამწვრობის ცენტრს მინდა მადლობა გადავუხადო, რადგან ისინი გულწრფელად ზრუნავენ პაციენტებზე და ნამდვილად აწვდიან ხარისხიან სერვისს“, — განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელის გუგა ქაშიბაძის თქმით, ბავშვებში მაღალია ცხელი წყლით და საჭმლით მიღებული დაზიანებები, ამასთანავე ახალი წლის დღეებში განსაკუთრებით იზრდება პიროტექნიკის გამოყენებისას დაზიანებების მიღების რისკი.

გრიპის ვირუსის გამო სასწავლო პროცესის შეჩერების საჭიროება არ არის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, რომ გრიპის გავრცელების მაჩვენებელი არ ქმნის იმის საჭიროებას, რომ სასწავლო პროცესი გადაიდოს. ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე აცხადებს, რომ ყველაზე დაცული ბაგა-ბაღების აღსაზრდელები არიან, რადგან აღმზრდელები გრიპზე არიან აცრილნი.

გამყრელიძის თქმით, გრიპის სეზონი ქვეყანაში დაახლოებით აპრილის დასაწყისამდე გრძელდება და სეზონური ვირუსის მიმდინარეობიდან გამომდინარე იქნება მიღებული გადაწყვეტილება სკოლებსა და ბაღებში სასწავლო პროცესის შეჩერების თაობაზე.

„ბაღებთან მიმართებით, ჩვენ უკეთესად ვართ დაცულნი, რადგანაც წელს ბაგა-ბაღის დაახლოებით 14 ათასამდე აღმზრდელი აიცრა და ნაკლებია ბავშვებისთვის ინფექციის ბაგა-ბაღებში მიტანის შანსი“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

გარდაიცვალა დაუდგენელი ეტიოლოგიის ვირუსით

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე აცხადებს, რომ ჭიათურაში გარდაცვლილ 30 წლის ქალს, წინასწარი დიაგნოზის თანახმად, დაუდგენელი ეტიოლოგიის ვირუსული ინფექცია ჰქონდა.

„სამწუხაროდ, ვერ მოესწრო სინჯის აღება და არ არის ვირუსოლოგიური კვლევები ჩატარებული. მოკვლევა გრძელდება. გვაქვს წინასწარი ინფორმაცია, ადგილი ჰქონდა მაღალ ცხელებას, დროულად იყო სასწრაფო გამოძახებული. ქალი კლინიკაში გადაიყვანეს, მაგრამ განვითარდა სწრაფი, ელვისებური ფორმა. ეს იყო მაღალი ცხელებით მიმდინარე დაავადება.

ცხელება ახასიათებს გრიპს, ახასიათებს კიდევ ძალიან ბევრ დაავადებას. წინასწარი კლინიკური დიაგნოზი გახლავთ დაუდგენელი ეტიოლოგიის ვირუსული ინფექცია“, — აცხადებს ამირან გამყრელიძე.

კითხვაზე, იკვეთება თუ არა მომხდარში სასწრაფო დახმარების ბრალეულობა, გამყრელიძე ამბობს, რომ მოკვლევა გრძელდება და კითხვას ამის შემდეგ გაეცემა პასუხი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტში 30 წლამდე ასაკის ქალი სავარაუდოდ, ვირუსული ინფექციით გარდაიცვალა.

სანთელი

გია ჭანიშვილი ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს დედის

მაყვალა ჭიჭინაძის

გარდაცვალების გამო.

გამოსვენება - ხუთშაბათს, 9 I, 14 სთ. წმ. გიორგის სახელობის ეკლესიიდან.

მის: დიღმის მასივი, II კვარტალი (დიდუბის ხიდთან).

ალეკო ასლანიშვილი, ომარ გოგიაშვილი, თემურ ონიანი, გივი მაზიაშვილი მწუხარებითა და გულისტკივილით იუწყებიან ბავშვობისა და მოწიფულობის მეგობრის, ღონიერი მეწარმისა და გამორჩეული ვაჟკაცის

ომარ (ნუგზარ) ჯანჯალიას

გარდაცვალებას და გულითადად უთანაგრძნობენ მის მწუხარე მეუღლეს ლალის და ვაჟებს ჯემალსა და ნუგზარს.

წყალტუბოში ხანძრისას ორი ქალი დაიღუპა

წყალტუბოში, ყოფილი სანატორიუმის შენობაში, სადაც ამჟამად დევნილები ცხოვრობენ, ხანძარს მსხვერპლი მოჰყვა.

როგოც საქართველოს პირველ არხს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, ხანძარი გვიან ღამით რუსთაველის ქუჩაზე, ყოფილ სანატორიუმ „მეგობრობაში“ მოხდა.

ადგილზე მისულ მეხანძრეებს ერთ-ერთ ოთახში ცეცხლის ღია კერა დახვდათ. ხანძრის შედეგად, 65 წლამდე ასაკის ორი ქალი დაიღუპა.

მეხანძრეებმა ცეცხლი მალევე ჩააქრეს და ხანძარი დანარჩენ ოთახებში არ გავრცელებულა.

ადგილზე მობილიზებული იყო ყველა შესაბამისი უწყება. შენობიდან 35 ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

მკვლელობა მარტვილში

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ტალერში მკვლელობა მოხდა. როგორც გარდაცვლილის ახლობლები აცხადებენ, ახალგაზრდა კაცს მეზობელმა ჭრილობა გულმკერდისა და ბარძაყის არეში დანით მიაყენა. დანაშაულის მოტივი ჯერჯერობით უცნობია. პოლიციამ ეჭვმიტანილი უკვე დააკავა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ტალერში ურთიერთშელაპარაკების შემდეგ ცივი იარაღით თანასოფლელს — რ.ჯ.-ს ცივი იარაღით სხეულის დაზიანება მიაყენა. მიღებული ჭრილობებით რ.ჯ. გარდაიცვალა. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. პოლიციამ დანაშაულის იარაღი — დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს“ — აცხადებენ შსს-ში.

შუახევში ხეზე რქით გაჭედილი ჯიხვი მაშველებმა გადაარჩინეს

შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიჭაურის მიმდებარედ მეხანძრე-მაშველებმა ჯიხვი გადაარჩინეს.

როგორც შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში აცხადებენ, ცხოველი კლდეზე იყო ჩარჩენილი. ჯიხვი ხეზე რქით გაიჭედა და გადაადგილებას ვეღარ ახერხებდა.

ადგილზე დასახმარებლად იმყოფებოდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შუახევის სამმართველოს თანამშრომლები. მეხანძრე-მაშველებმა ჯიხვი უსაფრთხო ადგილზე უვნებლად ჩამოიყვანეს და გაუშვეს. მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

10 ათასი წლის წინანდელი ნამოსახლარი ქობულეთში

სოფელი ქობულეთი ეტალონური ძეგლია – ამის შესახებ ის არქეოლოგები საუბრობენ, რომლებმაც ბოლო კვლევები ჩაატარეს. მათივე ცნობით დადგინდა, რომ სოფელში ნამოსახლარის ზუსტი ასაკი ძვ.წ. 7769 წელია. აღმოჩენილია ასობით არტეფაქტი და იარაღი.

არქეოლოგი გურამ ჩხარტიშვილი 10 ათასი წლის წინათ პირველყოფილი ადამიანების პირველი დასახლების შესახებ საუბრობს. სპეციალისტის თქმით, დადასტურდა თუ როგორი მაღალი დონის განვითარება ჰქონდა ქვის ხანის ადამიანს, რომელიც რთულ იარაღებს ამზადებდა, ამისთვის კი საკმაოდ შორი მანძილიდან ოფსიდიანის ქვას ეზიდებოდა.

გაისნა პრაღის ოპერის თეატრი

პრაღაში სახელმწიფო ოპერის თეატრის ხელახალი გახსნის ცერემონია გაიმართა. მე-19 საუკუნეში აშენებულ ნაგებობას, 3 წლის განმავლობაში, მასშტაბური სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და ხელისუფლებას ის 50 მილიონი ევრო დაუჯდა. მოხდა კედლების, ფრესკებისა და ორნამენტების რესტავრაცია. განახლდა სასცენო ტექნოლოგიები, ბალეტისა და ორკესტრის სარეპეტიციო ოთახები და ოპერის თეატრი თანამედროვე მოწყობილობებით აღიჭურვა.

გახსნის ცერემონიაზე ჩეხეთის სახელმწიფო ოპერის ორკესტრმა მოცარტის, ჯაკომო პუჩინისა და სხვა ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებები შეასრულა.

დოკუმენტური სერიალი მაიკლ ჯორდანზე

ლეგენდარულ ამერიკელ კალათბურთელ მაიკლ ჯორდანზე უახლოეს მომავალში მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი გამოვა. პირველ ეტაპზე იგეგმება 10 სერიის გადაღება და ფილმის სახელწოდება, რომლის პრემიერაც 2020 წლის ივნისშია დაგეგმილი, „ბოლო ცეკვა“ იქნება.

მაიკლ ჯორდანი კალათბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშედ არის დასახელებული. ის ექვსჯერ გახდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონის ბეჭდის მფლობელი და ექვსივე შემთხვევაში ფინალური სერიის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. ამჟამად ჯორდანი საკალათბურთო კლუბ „შარლოტ ჰორნეტსის“ პრეზიდენტია.

დედამიწის ზომის პირველი პლანეტა სასიცოცხლო ზონაში

კოსმოსურმა ტელესკოპმა TESS-მა (Transiting Exoplanet Survey Satellite) სასიცოცხლო ზონაში დედამიწის ზომის პირველი პლანეტა აღმოაჩინა.

TOI 700 d წითელი ჯუჯა პლანეტის TOI 700-ის ირგვლივ 37-დღიანი პერიოდით მოძრაობს. ამასთან, მისგან პლანეტა ენერგიის 86%-ს ღებულობს, რომელსაც მზე დედამიწას გადასცემს.



გარდა ამისა, დაკვირვების 11 თვის განმავლობაში ამ ვარსკვლავზე აფეთქებები არ დაფიქსირებულა, რაც იმის შანს ზრდის, რომ TOI 700 d-ზე შესაძლოა, სასიცოცხლო იყოს.

სპეციალისტების თქმით, გარდა TOI 700 d-სა TOI 700-ის სისტემაში კიდევ 2 პლანეტაა.

ჩინეთში ყინულისა და თოვლის ფესტივალი გაიხსნა

ღონისძიებას ტრადიციულად, ჰარბინი მასპინძლობს.

ყინულისა და თოვლის სამყარო 600 000 კვადრატულ მეტრზეა განლაგებული და მის ასაშენებლად 200 000 კუბური მეტრის ყინული გამოიყენეს.

ფესტივალზე სხვადასხვა ფორმის ყინულის ქანდაკებები და ნაგებობებია გამოფენილი. ტარდება სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები და კონკურსები, მათ შორის ცივ წყალში ცურვა, ქორწინება თოვლში და ყინულისგან ფიგურების გამოქანდაკების შეჯიბრი. ფესტივალი ჰარბინში 2 კვირა გაგრძელდება.

ტყის ხანძრებს განზრახ აჩენდნენ

ავსტრალიაში ტყის ხანძრის განზრახ გაჩენასთან დაკავშირებით 183 ადამიანი დააკავეს.

2019 წლის ნოემბრის შემდეგ დაკავებები ახალ სამხრეთ უელსში, ვიქტორიაში, სამხრეთ ავსტრალიაში, ქუინსლენდსა და ტასმანიაში განხორციელდა. როგორც სამართალდამცავ უწყებაში იტყობინებიან, ეჭვმიტანილების ნაწილმა ანთებული სიგარეტი გადააგდო, ფეიერვერკი გაუშვა ან ხანძრის პრევენციის მიზნით არსებული წესები არ დაიცვა, რამაც ხანძრის გაჩენა გამოიწვია.

ავსტრალიაში ტყის მასშტაბურ ხანძარს უკვე რამდენიმე თვეა, ებრძვიან. ამ დროის განმავლობაში სტიქიამ 25 ადამიანი და ასობით ათასი ცხოველი შეიწირა. ხანძარმა ორი ათასამდე საცხოვრებელი სახლი გადაწვა. დასავლური მედიის ცნობით, მასშტაბური ხანძრის კვამლმა სამხრეთ ამერიკის კონტინენტს მიაღწია.

ელტონ ჯონი ავსტრალიელებს ეხმარება

ავსტრალიაში ტყის ხანძართან საბრძოლველად მომღერალმა და მუსიკოსმა ელტონ ჯონმა მილიონი დოლარი გადარიცხა.

ბრიტანელმა მომღერალმა ამის შესახებ საკუთარ მსმენელებს სიდნეიში გამართული კონცერტის დროს შეატყობინა. მასშტაბურ სტიქიასთან საბრძოლველად შესაბამის ფონდში ერთი მილიონი დოლარი გადარიცხა მსახიობმა კრის ჰემსვორტმაც. შესაბამის ფონდში თანხა გადარიცხეს მომღერალმა ფინქმა და „ოსკარის“ მფლობელმა მსახიობმა ნიკოლ კიდმანმაც.

ავსტრალიის ტყის ხანძართან საბრძოლველად შექმნილი ფონდი ამჟამად 30 მილიონ დოლარს აჭარბებს. მასში საერთო ჯამში თანხა მილიონზე მეტმა ადამიანმა ჩარიცხა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8716; ევრო - 3.2150;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7799;
100 რუბლი - 4.6264; თურქული ლირა - 0.4807;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6830;
1000 სომხური დრამი - 5.9981.

ამინდი 9 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+6
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+6
თბილისი:	ღამე	-1,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge